# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 41 ხუთშაბათი, 13 ენკენისთვე 1918 წ. № 41


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


პოლკის სარდალი, ოფიცრები და პარტიზანები აუწყებენ საზოგადოებას, რომ სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლის დროს ვაჟკაცურად დაიღუპა ბათომის პარტიზანული პოლკის შტაბს-კაპიტანი

## არჩილ დიმიტრის ძე
## საყვარელიძე.

პანაშვიდები ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.


## სახელმწიფო თეატრი.
### ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ნ. ლ. ლევიცკისა.

დასის შემადგენლობა (ალფავიტით):

| სოპრანო | მეცო-სოპრანო | ბარიტონები |
|---|---|---|
| ქალბ. ვოლ-ლევიცკისა ა. ს. | ვლადინა ვ. კ. | ბალაბანი ა. ა. |
| ვიშემირსკაია მ. მ. | დობროვოლსკაია | ვრონსკი ე. ა. |
| გარინსკაია ლ. კ. | მოროზოვა ო. კ. | ზუბარევი ნ. გ. |
| გედევანიშვილი მ. ვ. | ოვსიანიკოვა ლ. ა. | ინაშვილი ა. ი. |
| ზელინსკაია ფ. ს. | სპიტკო ე. ა. | ორდა ტ. ს. |
| კალანდაძე-აგასოვისა ო. ს. | იანსა მ. ა. | ეზროვი ნ. ს. |
| მანდენოვა ს. გ. | **ტენორები** | **ბანები** |
| ორლოვა ფ. ს. | ბერეზინი ვ. მ. | დემიანენკო ა. ა. |
| განა-სკვორეცკაია გ. ლ. | ზალიპსკი ბ. ი. | ისეცკი ლ. ნ. |
| ფირსოვა ა. ნ. | ზვიაგინი ვ. ა. | არლოვი ნ. ნ. |
| შვამბერგი ტ. ა. | კანშინი ა. მ. | ნიკოლსკი ვ. ა. |
| | კურბატოვი ა. ვ. | საბინინი იუ. დ. |
| | მალჩანოვი ი. პ. | |
| | მარკოვი მ. ს. | |
| **დირიჟორები** | **რეჟისორი** | **ხორმეისტერები** |
| სამოსუდი ია. ა. | დუმა დ. ა. | კოროშონი ვ. ა. |
| | **თანაშემწე** | **თანაშემწე** |
| სტოლერმანი ს. ა. | გურესი ა. ა. | ფალიაშვილისა ი. პ. |
| | ფიჩხულოვი. | **კონცერტმეისტერები** |
| ჩერეპნინი ნ. ნ. | **სუფლიორები** | საბინ-გუს ე. დ. |
| ცენოვსკი ა. ა. | ნიკოლაევი ნ. ი. | სოკოლოვისა ლ. ა. |
| | ტესლერი ი. ა. | |

ბალეტმეისტერი ვოკარეცი. ◆ პრიმა-ბალერინა ბაუერზაკს.

ორკესტრი—48 კაცი. ხორო—60 კაცი. ბალეტი—24 კაცი.

სოლისტი ორკესტრისა გუზიკოვი. სამხატვრო განყოფილების გამგე მხატვარი ა. ა. ზალცმანი. სეზონი გაიხსნება კვირას, 15 სექტემბერს. 16 სექტ.—„ტანჰეიზერი“, სამშაბათს—„რიგოლეტო“, ოთხშაბათს—„ცარსკაია ნევესტა“. კასა ღიაა 10 სექტ. 10—4 საათ. და 5—8 საათ.



## განცხადება
### ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 25 სექტემბერს ამა 1918 წ. შუადღის 12 საათზე ახალი დროით, ქ. ფოთში, ქალაქის გამგეობის დარბაზში, მოხდება შეჯიბრებითი ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით, ექვსი თვის ვადით, ქალაქის განკარგულებაში მყოფი 11 პატარა ზომის, მატორიანი გემი და სამი «ბარჟი». დაწვრილებითი პირობების და თვით გემების განხილვა-დათვალიერების მსურველმა უნდა მიმართოს ქალაქის გამგეობას.

407 3—2 ფოთის ქალაქის გამგეობა.



## სატეხნიკო ლაბორატორია
### ამზადებს საწერ მანქანების ასოებს:

ქართულ, სომხურ, თათრულ, გერმანულ და სხვა ენებზე.

საქმე სრულდება სუფთად და სწრაფად.

ლაბორატორიის გამგე მხატვარი კოტე ქავთარაძე.

ტფილისი, ყაზბეგის ქ., № 14. 717 4—1


## ტფილისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი

ამით აცხადებს, რომ 1) ძირითადი განყოფილებები და კლასები (საანბანო, უმცროსი და უფროსი მოსამზადებელი განყოფილებები, I, II, III, IV კლასები) გაეროვნებულია და ყველა საგნები ქართულ ენაზე ისწავლება. 2) ყველა პარალელურ განყოფილებებში და კლასებში, და აგრეთვე ძირითად V, VI, VII კლასებში სწავლა რჩება რუსულ ენაზე. 3) მისაღები და ხელახლა გამოცდები დაიწყება 9 ს. 20 ენკენისთვიდან. გამოცდების გაწესრიგება და ყველა ცნობების მიღება შეიძლება სკოლის კანცელარიაში.

715 2-1


## ექიმი ი. კ. აზაკელია
### შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.


## ოფიციალური განყოფილება

### კ ა ნ ო ნ ი.

საბაჟო დაწესებულებათა მოწყობისა.

1. გაუქმდეს ყველა საბაჟო საქართველოს ტერიტორიაზედ რუსეთის დაწესებული, სახელდობრ ტფილისის პირველი ხარისხის საბაჟო, ბათუმის პირველი ხარისხის საბაჟო, ფოთის მეორე ხარისხის საბაჟო, საბაჟო საყარაულოები: გუდაუთის, ოლთის, ორჯოხის, ოჩემჩირის, ფსირტის, სოხუმის, საბაჟო ბინები: ანაკლიის, გაგრის, ახალ-გაგრის, ლიმანის და ამ დაწესებულებათა საერთო სამმართველო, საინსპექციო საბაჟო უწყება, საერთოდ 14 საბაჟო დაწესებულება.

2. ზემოხსენებული საბაჟოების (იხ. 1 მ. ამა კან.) მოხელენი დატოვებულ იქნენ შტატს გარეშე საერთო კანონის ძალით, თუ ისინი, ხელ-ახლად არ ჩაირიცხნენ ახლად დაარსებულ საბაჟოებში.

3. დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 19 საბაჟო უწყება შემდეგ ადგილებში:

ა) მთავარი საბაჟო, ცენტრალური მართვა-გამგეობის უფლებით, ქალაქ ტფილისში.

ბ) პირველი ხარისხის საბაჟო ქალაქ ფოთში.

გ) მეორე ხარისხის საბაჟოები—ნატანებსა და სოხუმში.

დ) მესამე ხარისხის საბაჟოები გუდაუთაში, ოჩემჩირეში, ათონში, ყულევში, ანაკლიაში, ფოილოში, ლაგოდეხში, ვორონცოვკაში, ნარლევანში, ბაკურიანში, აწყურში, აბასთუმანში, ოზურგეთში და დარიალში.

4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს ეძლევა უფლება საგარეო მინისტრთან შეთანხმებით ზემოხსენებული საბაჟოები (იხ. 3 მ. ამა კან.) გადაიტანოს ერთი ადგილიდან მეორეზედ, შესცვალოს საბაჟოების ხარისხები, გაადიდოს და შეამოკლოს შტატი, თუ კი ცვლილება იგი არ გამოიწვევს ზედმეტ ხარჯს.

5. მთავარ და პირველ ხარისხის საბაჟოებს ეძლევათ უფლება ყოველგვარი საქონლის შემოტანისა და გატანისა ნებადართვისა და მის დაბაჟვისა.

6. მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოებს იგივე უფლება აქვთ (იხ. 5 მ. ამა კან.) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონელს ესაჭიროება ქიმიური ანალიზი, როგორიც არის სამკურნალო წამალი, სააფთიაქო და საღებავი მასალა.

7. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი განაგებს მთელ საბაჟო უწყების საქმეებს მთავარ საბაჟოს საშუალებით.

8. მთავარ საბაჟოს, როგორც ცენტრალურ სამმართველო დაწესებულებას, უფლება აქვს მართვა-გამგეობისა შემდეგის წესით:

ა) ყოველი საბაჟო დაწესებულება საქართველოს რესპუბლიკისა მართვა-გამგეობის მხრით ექვემდებარება მთავარ საბაჟოს, რომელიც თვალყურს ადევნებს, რათა საბაჟოსათვის გამოცემული კანონები იურიდიულის და ფორმალურის მხრით ჯეროვანად სრულდებოდეს.

ბ) მთავარი საბაჟო განმარტავს საჭირო და გაუგებარ კითხვებს.

გ) გამოსცემს საჭირო განკარგულებას და განმარტავს ტარიფის შესრულების და პრაქტიკულ შეფარდების საქმეს.

დ) იგი წარმომადგენელია უწყებისა სასამართლოს წინაშე.

9. მთავარი საბაჟოს გამგე დაინიშება ფინანსთა და ვაჭრობა—მრეწველობის მინისტრის წარდგენით და მთავრობის განკარგულებით.

10. მთავარ საბაჟოს გამგის თანაშემწენი, გამგე და მისი თანაშემწენი პირველი ხარისხის საბაჟოებისა, გამგენი მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოებისა; რევიზორები, კონტროლიორები, მდივნები, ბუხგალტერები, საწყობების ზედამხედველნი და გემთა ზედამხედველნი დაინიშნებიან მინისტრის განკარგულებით; სხვა დანარჩენი მოხელენი დაინიშნებიან მთავარ საბაჟოს მიერ მინისტრის ნებართვით, ხოლო მოდარაჯენი დაინიშნებიან ადგილობრივ გამგეთა განკარგულებით.

11. მოისპოს გაუქმებულ საბაჟოების კრედიტი.

12. ახლად მოწყობილ საბაჟო დაწესებულებათა შესანახად ივლისის პირველიდან ამ 1918 წლის დამლევამდე თანახმად ამ კანონთან დართულ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ხუთას ორმოცდა სამი ათას ოცდა ხუთი მანეთი (543025), შემდეგის დანაწილებით: მოხელეთა ჯამაგირისათვის 484250 მან. და სხვა ხარჯისათვის 58775 მან.

1918 წ. აგვისტოს 30.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

# შტატები

საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებათა.

| №№ რიგზე. | საბაჟოები და თანამდებობანი. | თანამდებობ. რიცხვი. | წლიური ჯამაგირი თითოეულს. | თითოეულს 1 ივლისიდან წლის დამლევამდე. | ყველას 1 ივლისიდან წლის დამლევამდე. |
|---|---|---|---|---|---|
| | მთავარი საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 12000 | 6000 | 6000 |
| 2 | გამგის თანაშემწენი | 2 | 10200 | 5100 | 10200 |
| 3 | რევიზორი | 1 | 8400 | 4200 | 4200 |
| | კონტროლიორები: | | | | |
| 4 | უფროსი | 3 | 7800 | 3900 | 11700 |
| 5 | უმცროსი | 3 | 7200 | 3600 | 10800 |
| 6 | მდივანი | 1 | 7500 | 3750 | 3750 |
| | მდივნის თანაშემწენი: | | | | |
| 7 | უფროსი | 2 | 6000 | 3000 | 6000 |
| 8 | უმცროსი | 4 | 5400 | 2700 | 10800 |
| 9 | ხაზინადარი | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 10 | ბუხგალტერი | 1 | 7500 | 3750 | 3750 |
| | მისი თანაშემწენი: | | | | |
| 11 | უფროსი | 3 | 6000 | 3000 | 9000 |
| 12 | უმცროსი | 6 | 5400 | 2700 | 16200 |
| 13 | საწყობის ზედამხედველი | 1 | 7500 | 3750 | 3750 |
| | მისი თანაშემწენი: | | | | |
| 14 | უფროსი | 2 | 6000 | 3000 | 6000 |
| 15 | უმცროსი | 4 | 5400 | 2700 | 10800 |
| 16 | დარაჯნი-მოსამსახურენი | 13 | 3600 | 1800 | 23600 |
| | | 48 | — | — | 139350 |
| | ფ ო თ ი ს. | | | | |
| | 1-ლი ხარისხის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 9000 | 4500 | 4500 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 8000 | 4000 | 4000 |
| | კონტროლიორები: | | | | |
| 3 | უფროსი | 2 | 7800 | 3900 | 7800 |
| 4 | უმცროსი | 2 | 7200 | 3600 | 7200 |
| 5 | მდივანი | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 6 | ხაზინადარი | 1 | 5400 | 2700 | 2700 |
| 7 | ბუხალტერი | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| | მისი თანაშემწენი: | | | | |
| 8 | უფროსი | 1 | 5400 | 2700 | 2700 |
| 9 | უმცროსი | 6 | 4800 | 2400 | 14400 |
| 10 | საწყობის ზედამხედველი | 1 | 7500 | 3750 | 3750 |
| | მისი თანაშემწენი: | | | | |
| 11 | უფრორსი | — | — | — | — |
| 12 | უმცროსი | 8 | 5400 | 2700 | 21600 |
| 13 | გემების ზედამხედველი | 1 | 7500 | 3750 | 3750 |
| 14 | დარაჯნი-მოსამსახურენი | 18 | 3600 | 1800 | 32400 |
| | | 44 | — | — | 1108001 |
| | ნატანების. | | | | |
| | მე 2 ხარისხის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7800 | 3900 | 3900 |
| 2 | კონტროლიორი უმცროსი | 4 | 7200 | 3600 | 14400 |
| 3 | ბუხგალტერი იგივ. მდივანი | 1 | 5500 | 2700 | 2700 |
| 4 | მისი თანაშემ. უფროსი | 1 | 4800 | 2400 | 2400 |
| 5 | საწყობის ზედამხედველი | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 6 | მისი თანაშემ. უმცროსი | 2 | 4800 | 2400 | 4800 |
| 7 | დარაჯნი-მოსამსახურენი | 10 | 3600 | 1800 | 18000 |
| | | 20 | — | — | 49250 |
| | სოხუმის. | | | | |
| | მე 2 ხარისხის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7800 | 3900 | 3900 |
| 2 | კონტროლიორი უმცროსი | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 3 | ბუხგალტერი იგ. მდივანი | 1 | 5500 | 2700 | 2700 |
| 4 | მისი თანაშემ. უმცროსი | 1 | 4800 | 2400 | 2400 |
| 5 | საწყობის ზედამხედველი იგ. გემების ზედამხედველი | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 6 | მისი თანაშემწენი | 3 | 4800 | 2400 | 7200 |
| 7 | დარაჯნი-მოსამსახურენი | 6 | 3600 | 1800 | 10800 |
| | | 14 | — | — | 33650 |
| | გუდაუთის. | | | | |
| | მე 3 ხარისხის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი-მოსამსახურენი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | ოჩემჩირის. | | | | |
| | მე 3 ხარისხის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი-მოსამსახურენი. | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | ახალ-ათონის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი-მოსამსახურენი. | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | ყულევის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 1 | 3600 | 1800 | 1800 |
| | | 2 | — | — | 8400 |
| | ანაკლიას საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | ფოთლის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | შაგალის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე. | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე. | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | გერგერის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე. | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე. | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | ვორონცოვკის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | ნადრევანის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | ბაკურიანის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე. | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე. | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | აწყურის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე. | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | აბასთუმანის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე. | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | ოზურგეთის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | დარიალის საბაჟო. | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 7200 | 3600 | 3600 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 6000 | 3000 | 3000 |
| 3 | დარაჯნი | 2 | 3600 | 1800 | 3600 |
| | | 4 | — | — | 10200 |
| | ჯ ა მ ი | 183 | — | — | 484250 |

## დამატებანი:

1) ექსპერტიზისათვის,—ექსპერტის გასამჯელოდ წლიურად 1350, ხოლო ამა წლის დამლევამდე 675 მან.

2) ყველა საბაჟოების კანცელარიირს საჭირო მასალისათვის წლის დამლევამდე 19000 მან.

3) ტელეფონი, სასწორების შესწორება და შემოწმება, ავეჯეულების შეკეთება და შეძენა 6800 მან.

4) სახლების დაქირავება, რემონტი სახელმწიფო სახლებისა, მეეზოვეს დაქირავება და სხვა ხარჯი ბინებისათვის წლის დამლევამდე 21800 მანეთი.

5) საექიმო დახმარება მცირე მოსამსახურეთათვის წლის დამლევამდე 500 მან.

6) საგზაო ხარჯები მოსამსახურეთათვის, როცა ისინი იგზავნებიან უწყების განკარგულებით—წლის დამლევამდე 5000 მან.

7) უწყების საჭიროებისათვის საკუთარი ნავების აშენება, დაქირავება ნავებისა უც[...] პირთაგან და მენავეთა ჯამაგირებისათვის წლის დამლევამდე 4000 მან.

8) დაბაჟულ საქონელზე ნიშნების დასმით გამოწვეულ ხარჯისათვის 1000 მან.

ჯ ა მ ი . . . . . 58775

სულ მთელი ჯამი ამა წლის დამლევამდე 543025 მანეთი.

1918 წ. აგვისტოს 30.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 13 ენკენისთვე.

თანამედროვე იმმა პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაცია დაშალა. დემოკრატია დაიბნა და დაიქსაქსა. ბევრს ეგონა საერთაშორისო ომს საერთაშორისო დემოკრატია საყოველთაო აჯანყებით და სოციალურ-რევოლიუციით გასცემდა პასუხს. მაგრამ ეს არ მოხდა. დემოკრატიას ამ დიდი და საკაცობრიო საქმისთვის არ აღმოაჩნდა საკმაო პოლიტიკური ძალა და შინაგანი მომზადება.

იქ, სადაც, ერთი პუბლიცისტის აზრით, კლდის ჯავარიანი ქვის სიმტკიცე იყო წინათ, ახლა ნაპრალს დაუღრენია პირი და ნაპრალში ძვრება იჭვი, რომელიც კითხულობს: სად არის ჭეშმარიტება? საუკუნის ტრადიციასთან თუ ნაციონალურ ინდივიდუალიზმთან? ერთი სიმართლეა ყველასათვის, თუ იგი იცვლება ხალხის სახელმწიფოებრივ ორგანიზმთან ერთად და თვითეულ ხალხს თავის საკუთარი შინაური სიმართლე აქვს, როგორც ოდესმე ყოველ კერას თავის შინაური ოჯახური მფარველი ღმერთი ჰყავდა?

ასეთი სულისა და გულის მღრღნელ ეჭვებს ომის და ხალხთა შინაური ცხოვრების გაშლა-განვითარება მალე ამსხვრევს.

ის, ვინც ჯავარიან ქვასავით იყო მტკიცე და ომის პირველმა ქარიშხალმა შეარყია, მალე მოდის გონს, იფხიზლებს და ხალხთა შორის სისხლის ნაცვლად საერთაშორისო მშვიდობის დამყარებისათვის იბრძვის.

დღეს ყველა განათლებული ხალხის დემოკრატია ახმაურებულია, მოწადინებულია იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ხმალი ქარქაშში ჩააგონ და საყოველთაო მოლაპარაკებას შეუდგნენ.

მართალია, დემოკრატიის ძალა ჯერ კიდევ არ არის იმდენად განმტკიცებული და გაზრდილი, რომ თავის ინტერესების და ლტოლვილების თანახმად აამუშაოს სახელმწიფოებრივი მექანიზმი და გადაქმნას მთელი საერთაშორისო მდგომარეობა, მაგრამ მისი ხმა თან და თან ძლიერდება და შორს აღარ არის ის დრო, როცა ხალხთა ოცნება-საერთაშორისო ზავი მზესავით დაანათებს თავზე შეწუხებულს და დამაშვრალ კაცობრიობას.

ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ თვით მებრძოლ სახელმწიფოთა ზოგიერთი მთავრობები საჭიროთ სთვლიან მომავალი ზავის შესახებ ერთიერთმა-

ნეთის გამოეხმაურონ, ყოველ შემთხვევაში მათი ზავის გარშემო ალაპარაკება მეტად დიდმნიშვნელოვანია.

საერთაშორისო დემოკრატიას ამით უფრო ეხსნება გზა, ეძლევა საშუალება და საბაბი, რომ მედგრად და ხმა შეწყობილად მოითხოვოს საზოგო კონგრესი, რომელმაც ავად თუ კარგად უნდა დაამთავროს დღევანდელი ომიანობის სისხლით მქშინავი ხანა.

დემოკრატია გაასკეცებული ენერგიით უნდა შეუდგეს ზავისთვის მზადებას. ცხადია, ის ერთი საყოველთაო პროგრამით და გადაწყვეტილებით უნდა წარსდგეს საერთაშორისო კონგრესის წინაშე და გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხალხთა თვითგამორკვევის უფლების მიხედვით განამტკიცებს და უზრუნველყოფს საერთო მშვიდობიანობას.

დემოკრატია, რომელიც არ გაერთიანდება კონგრესის წინ და ერთნაირი ენით არ ამეტყველდება ხალხთა უდიდეს ინტერესების შესახებ, დაამტკიცებს თავის მოუმწიფებლობას და გაკოტრებას იმპერიულისტური ქვეყნის წინაშე. ეს დიდ სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს მშრომელ კაცობრიობას და ბევრს აუშლის შემაშფოთებელ კითხვას: სად არის ჭეშმარიტება?

დემოკრატია, რომელიც სათავეში აქტიურად არ ჩაუდგება ზავის საქმეს და შეთანხმებით არ დაიცავს ერთა უფლებებს ინტერნაციონალის და კაცობრიობის მთლიანობაში, თავის ისტორიულ დანიშნულებას ვერ გაამართლებს და ძლეულ იქნება მტრული ძალების მიერ.

მაგრამ ყველაფერი მოწმობს, რომ დემოკრატიის დაქსაქსვის შავი დღეები წარსულში ილევა, რაც გუშინ იყო, ის აღარ არის. საერთაშორისო დემოკრატიის მთლიანობა ალსდგება ახლო მომავალში და მსოფლიო კონგრესის მუშაობას და მიმართულებას გადამახალისებელი ხალხური ხასიათი და ელფერი მიეცემა.

გერმანიის გამოჩენილი მეცნიერი-სოციოლოგი კაუცკი, ამბობს, რომ როგორიც უნდა იყოს კონგრესის გადაწყვეტილება, ის ვენის კონგრესის გადაწყვეტილებაზე გაცილებით უფრო იქნება ერთა ინტერესებით და საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევი. და ეს თუ ასეა, ოცნებობა არ იქნება წარმოვიდგინოთ, რომ მომავალი კონგრესის გადაწყვეტილება ყოველ შემთხვევაში დაახლოვებით იმდენად მტკიცე იქნება, როგორც ვენის კონგრესის, ე. ი. უზრუნველყოფს ხალხთა მშვიდობას 50 წლით მაინც. ხოლო თანამედროვე პირობებში ორმოცდაათი წლიწადი მუდმივ მშვიდობიანობას უდრის, ამ ხნის განმავლობაში ომის საწინააღმდეგო პროლეტარული მოძრაობა იმდენად გაძლიერდება, რომ მშვიდობიანობის დამარღვეველი საერთაშორისო პოლიტიკა შეუძლებელი გახდება. იდეალი, რომელსაც ელოლიავებოდენ უკანასკნელი სამი საუკუნის მოაზრეები განხორციელდება არა როგორც ზნეობრივი პოსტულატი, არამედ როგორც განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასის რეალური მოთხოვნილება (კაუცკი).

თავის თავად ცხადია, საქართველოს დემოკრატია საერთო ფერხულს არ ჩამორჩება და თავის სახელმწიფოებრივ თავისუფლების განმტკიცებასთან ერთად მთელი თავის ძალ-ღონით შეუწყობს ხელს საყოველთაო ზავის ჩამოგდებას და ევროპის დემოკრატიის იდეალების განხორციელებას.

## საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან

გერმანიის დელეგაციის საიმფორმაციო ბიუროს თავმჯდომარეს პროფესორ ცუგმაიერს გუშინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან ჰქონდა ბაასი შემდეგ კითხვების შესახებ;

სტამბულის კონფერენცია.

თალაათ ფაშა და გრაფი ბერნსდორფი კავკასიის საქმეთა შესახებ გაემგზავრნენ სტამბულიდან ბერლინში. მათ მოგზაურობას სტამბულში დიდ მნიშვნელობას აძლევენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის წარმომადგენელნი კავკასიის თავისუფალ სახელმწიფოებს არ სცნობენ, ცენტრალურ სახელმწიფოები ახლო მომავალში მაინც აღიარებენ მათ დამოუკიდებლობას. ეს ცნობები სარწმუნო წყაროებიდან გვაქვს მიღებული, და ამიტომ მალე უნდა ველოდეთ მათ გამართლებას.

ბაქოს ვითარება.

ოსმალოს ჯარს არტილერიის საშუალებით, რომლის რიცხვი აქ სრულიად საკმარისია, შეუძლია აიძულოს ქალაქი, რათა დაემორჩილოს მას, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დაკარგული იმედი, რომ მშვიდობიანი გზით ქალაქი აღებულ იქნეს. სხვა მიზეზთა გარდა გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი კავკასიაში არ ღებულობს მონაწილეობას დელეგაციაში აგრეთვე იმიტომაც, რომ გერმანია ოსმალოს მოკავშირეა და ამიტომ ის უპარტიო მხარეს არ წარმოადგენს. ჩვენი შეხედულობით ამ საქმის მშვიდობიანად გასათავებლად უკეთესი იქნებოდა ჩარეოდა საქართველოს ან სომხეთის მთავრობა ანუ და ორივე ერთად. თუ ვინიცობაა მშვიდობიანი გზით არ დასრულდა ბაქოს აღების საქმე და ინგლისელები ქალაქიდან არ გავიდნენ, იმ შემთხვევაში გერმანიის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია თავისი ჯარი ბაქოს ფრონტზე გაგზავნოს.

ცენტრალური სახელმწიფოების მდგომარეობა უკრაინაში, დონზე და ჩრდილო კავკასიაში.

ამ ჟამად სწარმოებს დიდ-მნიშვნელოვანი მოლაპარაკება ცენტრალურ სახელმწიფოების უკრაინისა, დონის და აგრეთვე ყუბანის კაზაკებთა შორის. მოლაპარაკება ცენტრალურ სახელმწიფოებისათვის სასურველ მიმდინარეობას ღებულობს. აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში მდგომარეობა უმჯობესდება. გერმანიის დელეგაციას აქვს მოლაპარაკება დაღესტნის წარმომადგენლებთან; ეს მოლაპარაკება, რომელიც ოსმალოს დელეგაციასთან სრული თანხმობით სწარმოებს, ორივე მხარეს ნაყოფიერ შედეგს უქადის.

გერმანიაში ფულის გადაგზავნის საქმე.

დღეს შტაბიდან მივიღე ცნობა, რომ გერმანიაში ბანკების საშუალებით ფულის გადაგზავნის საქმე უკვე მოწესრიგდა. ვისაც სურს გერმანიაში ამა თუ იმ ბანკის სახელზე ფული გადაგზავნოს, საჭიროა გერმანიის დელეგაციის შტაბში მიბძანდეს და იქ შეიტანოს ფული. შტაბში ფულის მიღება სწარმოებს თორმეტიდან ორის ნახევრამდე (12—$1^1/_2$ საათამდე).

დასავლეთის ფრონტი.

დასავლეთის ფრონტზე უდიდესი ოპერაციები თან და თან ნელდება. მიზანი, რომლის მისახწევად ინგლისმა და საფრანგეთმა უთვალავი მსხვერპლი შესწირეს, განუხორციელებელი დარჩა: მტრებმა ჩვენი ფრონტი ვერ გაარღვიეს, მათ ვერ შესძლეს წაეყვანათ ტყვეთ ცოტათი მაინც საგრძნობელი რიცხვი გერმანელებისა, ვერ ჩაიგდეს ხელში საომარი მასალა და სურსათი.

გერმანელები და საქართველოს სურსათი.

კიდევ არ ცხრებიან ისინი, ვინც წინეთაც ავრცელებდნენ სხვა და სხვა ჭორებს ამის შესახებ, ვითომც გერმანელებს საქართველოს რესპუბლიკიდან პური და აგრეთვე სხვა სანოვაგე გაჰქონდეთ. გთხოვთ თქვენი მთავრობის გაზეთის ფურცლებზე გამოაცხადოთ, რომ ყველა ხმები ამის შესახებ უსაფუძვლოა. გერმანიის მთავრობის მხრით სრულიად ოფიციალურად მოგახსენებთ, რომ ჩვენ, გერმანელებს არ გაგვიტანია და არც განზრახვა გვაქვს გავიტანოთ თუ გინდ ერთი ფუთი ხორბალი, ან სხვა რომელიმე სანოვაგე. ამის შესახებ გერმანიის დელეგაციის ოფიციალურ განცხადებას უკვე ჰქონდა ადგილი წინეთ, ეხლა განმეორებით გთხოვთ ოფიციალურად იქნას ესევე გამოცხადებული.

## პრესის მიმოხილვა.

ინგლისელების აზრი, რომ ბაქო კარგი სტრატეგიული პუნქტია აღმოსავლეთისკენ გზის გაკაფვისთვის მებრძოლ გერმანიასთან საბრძოლველად, ეს ჩვენ გვესმის, მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია რად შეუყვარდათ ასე გაგიჟებით „აშხატავორ“-ელებს „წითელი“ ბაქო. აი რას სწერენ დღეს ბაქოს შესახებ.

„თუ არსებობს კიდევ ეგრედ წოდებული სომხეთის რესპუბლიკა, რომლის საზღვრებში ცხოვრობს გასისხლიანებული სომხის დემოკრატია—ეს ხდება ბაქოს წყალობით. თუ ქართველი დემოკრატია კიდევ თავისუფლად სუნთქავს და ელემენტარული მოქალაქობრივ უფლებებით სარგებლობს—ესეც ბაქოს წყალობით“.

ჩვენ არას ვიტყვით ამ უკანასკნელზე. ქართველ დემოკრატიამ კარგად იცის, თუ ვისი წყალობით სარგებლობს იგი მოქალაქობრივ უფლებებით. „აშხატავორ“-ელებს იმის უფლებაც აქვთ, რომ ქართველ დემოკრატიასთან ერთად სომხის დემოკრატიისთვის მებრძოლ გმირის აკაკი ჩხენკელის სახელი ავად მოიხსენიოს, რადგან მათ სიკეთის დანახვა არ მოეთხოვებათ. მაგრამ ის კი ვერ წარმოგვედგინა, რომ ბაქო, რომელიც ავანტიურისტ შაუმიანის მიერ „წითელად“ იქმნა მონათლული, (ალბად იმიტომ, რომ მის ბაქოში გაბატონებისას უხვად მორწყეს ქუჩები მშრომელ თათრების სისხლით) „აშხატავორ“-ელებს ასეთ სალოცავ ხატად გაუხდებოდათ. მართლაც და რომელი ჭკვათამყოფელი ადამიანი იტყვის: „ბაქოს წყალობითაა, რომ სომხეთის რესპუბლიკა არსებობსო“! ჩვენის აზრით ერთი კი მართალი უნდა იყოს: სომხის ხალხის გასისხლიანება სხვა მიზეზებთან ერთად ბაქოს ავანტიურისტის და სომხის ერის ბრმა ხელმძღვანელების წყალობითაცაა...

* *
*

„ტრუდოვოე ზნამია“-მ ახლა ჯერ დამოუკიდებელ კანონ-პროექტის განხილვასაც მიჰყო ხელი. ვინ დაძრახავს, ალბად საქართველოზე მეტი მზრუნველობით მოსდის! ჩვენი მთავრობის წინადადებით ამ ჟამად მუშავდება კანონ-პროექტი შესახებ იმ პირთა ქონების კონფისკაციისა, რომელნიც დამნაშავენი არიან სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებაში. ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ „ტრუდოვოე ზნამია“ შემდეგ „ბრძნულ მოსაზრებებს აყენებს:

„ეს საშუალება, რომ უარყოფილია სისხლის სამართლის მეცნიერებით და ძირიანად არღვევს დემოკრატიულ წყობილებას—ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს საშუალება უმთავრესად მიმართულია ფართე მასის და განსაკუთრებით იმ გლეხების წინააღმდეგ, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებაში. ამ ზომის გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს ბრძოლის გამწვავება, რადგან პრაქტიკაში ეს ზომა მიმართული იქნება არა მარტო აჯანყებულთა—არამედ მათ ოჯახების წინააღმდეგაც, თუმცა შეიძლება მათ მონაწილეობა არ მიეღოთ აჯანყებაში“.

საქართველოს არც ერთი ჭეშმარიტი მოქალაქე, ვინც უნდა იყოს ის, წინააღმდეგი არ უნდა გახდეს ასეთი კანონისა, რადგან ის მიმართულია არა ხალხის, არამედ მისი მტრების წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ერთი შეგნებული გლეხი არ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ ჩვენმა მთავრობამ ჩამოართვას დატაცებული ქონება იმათ, ვინც მიისაკუთრა უწესოდ, ძალით, აჯანყების დროს. ჩვენდა საბედნიეროდ იმის იმედი კი გვაქვს, რომ ზოგიერთი ჩვენი გლეხი ამ მხრივ „ტრუდოვოე ზნამიის“ მეთაურებსა და თანამშრომლებზე უფრო გაგებულია.

## გერმანული პრესა.

ადგილობრივ გერმანულ გაზეთ „Kaukasische Post“-ის № 53-ში მოთავსებულია მოწინავე წერილი ამ სათაურით: „საქართველოს დიდი სამეურნეო მომავალი“, რომელშიაც აწერილია ბაასი გაზეთის მთავარი რედაქტორისა დოქ. ფ. ვესტერნჰაგენთან. ეს უკანასკნელი ჩამოსულია ჩვენში, როგორც წარმომადგენელი იმ საზოგადოებისა, რომელსაც აქვს მიზნად დასახული ავსტრო-უნგრეთსა და გერმანიის შორის სხვა და სხვა ზეთის გაცვლა-გამოცვლის საქმის მოწესრიგება. ომის წინ დოქ. ფ. ვესტერნჰაგენი მუშაობდა ამ დარგში პარიზში და ლონდონში; როდესაც ომი დაიწყო მას ნიუ-იორკში მოუხდა ცხოვრება; ეხლა კი საქართველოს ეწვია. დოქ. ფ. ვესტერნჰაგენი დიდ ავტორიტეტად არის აღიარებული, საზოგადოდ სამეურნეო საკითხის სფეროში, რის გამო ჩვენც მოგვყავს მისი სიტყვებიდან ის ადგილი, რომელიც საქართველოს შეეხება.

„თქვენ მეკითხებით მე, უთქვამს დოქ. ფ. ვესტერნჰაგენს, „Kaukasische Post“-ის მთავარ რედაქტორისათვის, „რა შეხედულობისა ვარ გერმანიასა და საქართველოს შორის მომავალ სამეურნეო დამოკიდებულობის შესახებ; ამ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ჩვენ მოველით ამ ქვეყანაში არა იმისათვის, რომ ამოვკრიბოთ მისი სიმდიდრე და მერე ღვთის ანაბარად დავსტოვოთ, როგორც ამას ფიქრობენ ჩვენი მტრების ბანაკში, არამედ ჩვენ გვაქვს განზრახვა, ჩაუყაროთ საფუძველი მშვიდობიან მუშაობას, რომელსაც ჩვენ ქვეყნებისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან. ეს ქვეყანა იმ ზომამდე მდიდარია, როგორც მიწის ნოყიერებით ისე სხვა და სხვა დასამუშავებელი მასალით, რომ სრულიად უზრუნველ ჰყოფს ხალხის ყოველ წრის კეთილცხოვრებას.

მეორე მხრით გერმანიას შეუძლია საქართველოს მიაწოდოს ის საქარხნო ნაწარმოები, რომელიც მას დიდათ ესაჭიროება. ამნაირად საჭიროა პატიოსანი, გარკვეული მუშაობა ყოველი მხრით. არავის არ შეუძლიან უარყოს ის გარემოება, რომ საქართველოს მომავალი ბრწყინვალე ბედს უქადის.

## სომხური პრესა.

„მშაკი“ იუწყება: ამხანად ტფილისში სხვა და სხვა სენსაციური ხმებია გავრცელებული. ლაპარაკობენ ვითომ ბაქოს ბრძოლის ველზე ორი კვირით ზავი ჩამოვარდნილიყოს. ინგლისისა და ოსმალეთის ჯარების უფროსებსა და აგრეთვე ლონდონისა და სტამბოლს შუა მოლაპარაკება დაუწყიათ საბოლოო ზავის ჩამოსაგდებად.

ამბობენ, ვითომ ოსმალეთი, ინგლისის მოთხოვნილობის თანახმად, ვალდებული გამხდარიყოს ძალიან ახლო მომავალში გაიყვანოს კავკასიიდან ყველა თავისი ჯარები და გაალოს დარდანელის კარები. ამის მაგივრად ინგლისმა უნდა დაუბრუნოს ოსმალეთს მესოპოტამია და პალესტინა.

კერძოთ ამიერ-კავკასიის ბრძოლის ველზედ, თუ ყოველივე ნათქვამი გამართლდა მაშინ სომხების პოზიცია გერმანელებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიიღებს. ფონ-კრესსის ერივანში მეორედ წასვლის განზრახვას უკანანასკნელ გარემოებასთან აკავშირებენ.

# ეროვნული საბჭო

მე-32 სხდომა

პარასკევი, 23 აგვისტო 1918 წ. ტფილისი, სასახლე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მიწად-მოქმედების მინისტრს.

მიწად-მოქმედების მინისტრი ნოე ხ ო მ ე რ ი კ ი. (ს. დემ.) ბატონებო! როდესაც მე პირველად წავიკითხე გაზეთში, სოხუმის ოლქიდან მომავალმა, რომ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციამ შეკითხვა შემოიტანა ჩემი უწყების ზოგიერთ მოქმედების შესახებ,—მე ძალიან მაინტერესებდა პიროვნება, რომელიც პირველი გამოვიდოდა ამ შეკითხვის შესახებ და ილაპარაკებდა. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შეკითხვის ინიციატორად დავინახე ბ. ვეშაპელი. რატომ? ამას შემდეგ მოგახსენებთ. ეხლა მხოლოდ მინდა ამას ხაზი გაუსვა. როცა ჩვენ გვედავებიან მთავრობამ უკანონო რამ ჩაიდინაო, სახელმწიფო ქონება ისე ვერ მოიხმარა, როგორც საჭირო იყოო, როგორც კანონი და სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვენო. საჭიროება ამას მოითხოვს, რომ იგი პირველად შეასრულოს იმ კაცმა, რომელიც ამისთანა იერიშით გამოდის. წარმოვიდგინოთ, რომ მართლაც, შეცდომა ჩავიდინეთ, ნებსით თუ უნებლიეთ ვაზარალეთ ხაზინა, მაგრამ იმ კაცს, რომელსაც ხაზინა ჩვენ წინედ აშკარად უზარალებია, ზნეობრივი უფლება არა აქვს ამაზე ილაპარაკოს. უმჯობესი იქნებოდა, რომ ბ. ვეშაპელს ეს ადგილი დაეთმო სხვისთვის.

მე ძალიან გულწრფელად უსმენდი ბ. ვეშაპელს, მინდოდა გამეგო რაში დაინახა უკანონობა, რაში დაინახა ხაზინის ინტერესების დარღვევა. მართლა გითხრათ ვერ გავიგე მისგან, სად იწყება ჩვენი უკანონო მოქმედება.

არსებულ კანონის მიხედვით, ჩვენ ვალდებულნი ვართ, საჯარო ვაჭრობა დავნიშნოთ. ჩვენ დავნიშნეთ საჯარო ვაჭრობა პრაქტიკის მიხედვით, საჯარო ვაჭრობა შეიძლება დაინიშნოს ერთჯერ, შეიძლება დაინიშნოს ორჯერ და როცა ორჯერ არ ინიშნება წინადვე უნდა იყოს ნათქვამი. ეს ჩვენ შევასრულეთ და ფორმალურის მხრივ, არავითარი კანონის დარღვევა არ არის.

და თვით არსებითი მხარეც ამ საკითხისა, თქვენ დარწმუნდით ჩემი ამხანაგის მოხსენებიდან, რომ ინტერესი ხაზინისა და სახელმწიფოსი მოითხოვდა, რომ ის წყალი გაყიდულიყო ისე, როგორც გაიყიდა. ეს ის დრო იყო, როგორც მოისმინეთ ჩემი ამხანაგისაგან, ოსმალოს რეგულიარული ჯარი და ბანდები 15 ვერსზე იყვნენ ბორჯომიდან, როცა შესაძლებელი იყო, რომ უცხო სახელმწიფოს ქონება მიეთვისებინათ. არ ვიცი, იქნება ვეშაპელი გვავალებს გვეზრუნა ფაშების კუჭის გასაჯანსაღებლად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოვალეობა გვქონდა ეს სიმდიდრე, ეს მილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონები გადაგვერჩინა. გადავეცა კერძო პირების ხელში ხელსაყრელ პირობებით, რომ ხაზინას არ დაჰკარგოდა. ჩვენ აქეთკენ მივმართეთ ჩვენი მოქმედება და შევასრულეთ. თუ თქვენ დაგვიწყებთ კამათს იმაზე, რომ ეს ჯგუფი, რომელთაც ჩვენ გადავეცით საქმე, არ არის მოსაქმე ხალხი, რომ ეს ხალხი ვერ არის გამოცდილი ამ საქმეში,—თქვენ უკვე მიიღეთ პასუხი. ჩვენ საჯარო ვაჭრობა დავნიშნეთ. არ დაგვრჩენია საჭირო პირები, რომელთაც ჩვენ არ მივმართეთ. არა ერთს და ორ კაპიტალისტს ვთხოვეთ აეღოთ ხელში და ეწარმოებინათ ეს საქმე. რაკი არც ერთმა მათგანმა არ ისურვა, როდესაც გამოირკვა ეს და აგრეთვე გამოირკვა ძალიან საინტერესო ფაქტი, რომ ყველაზე უფრო დაინტერესებული პირები უკვე შეთანხმებულან ამ საქმის მოწყობაში, და გადუწყვეტიათ როგორმე საჯარო ვაჭრობის დროს შეეძლიათ ჩვენთვის ოთხ აბაზ ნახევარი. ამის საბუთები გვქონდა მაშინ, და გვაქვს ეხლაც, რომ განსაზღვრული რიცხვი კაპიტალისტებისა შეთანხმებულან უკვე და ხაზინის წინაალმდეგ ეწეოდენ გაფიცვას.

ჩვენ არ შეგვეძლო ეს გარემოება მხედველობაში არ მიგვეღო ⁊ საჭირო ზომებისთვის არ მიგვემართნა, რომ ეს წყალი, რომელიც თან და თან ფუჭდებოდა ⁊ ბოლოს ისეთ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რომ სრულიად გამოუსადეგარი იქნებოდა, არ გასაღდებოდა ბაზარში—ხელიდან არ გამოგვცლოდა, ჩვენ ავიღეთ და პასუხის მგებლობა გადავეცით სხვას, და ამით ხაზინის ინტერესები უზრუნველვყავით.

ჩვენ შევკარით ჩვენ კონტრ-აგენტთან ისეთი ცალმხრივი პირობები, რომლის დარღვევა ყოველთვის შეიძლება. უნდა გაგაგებინოთ, რომ ეს ჩვენმა კონტრ-აგენტებმა იცოდნენ. მე და ჩემი თანაშემწე წავედით და გამოვუცხადეთ: ეს საქმე თქვენთვის ახალია, თქვენ შეიძლება ეს ვერ შესძლოთ, ვერ შეასრულოთ და, მიუხედავად იმისა, რომ არ დაარღვევთ ამ პირობებს, ჩვენ დავარღვევთ, თუ დავინახავთ სხვა პირს, ან სხვა ჯგუფს, რომელიც შესძლებს ამ საქმის უკეთესად წაყვანას. ეს პირობები ჩვენ წინდაწინ გამოუცხადეთ. თქვენ დამეთანხმებით, რომ ეს პირობები არიან ცალმხრივი. ხაზინას არავითარ ვალდებულებას არ აძლევს. მე, რასაკვირველია, ზნეობრივ მოვალეობად მიმაჩნია, რომ ეს პირობები გამეცხადებინა, პირდაპირ მეთქვა, გამეფრთხილებინა რომ თუ ვერ შესძლებდნენ საქმის კარგად წაყვანას ჩვენ ყოველ შემთხვევაში მზად ვიქნებოდით დაგვერღვია პირობები ამ ჯგუფთან, და ახალი პირობები დაგვედო სხვა ჯგუფთან, რომელიც შესძლებდა მათზე უკეთესად საქმის წაყვანას.

დღესაც მოდიან ათასი უცხოელები, წინადადებას გვაძლევენ. ზოგი ამბობს, უკრაინაში წავიღებთ ათასს—ორი ათასს—ბოთლს. მეორე ამბობს, რომ მილიონ ბოთლს ველიკოროსიაში გავიტანო და როცა შევატყობინეთ მობრძანდით, წაიღეთ წყალიო,—შეპირებულ დროს უცდით და არავინ მოდის. თქვენ იცით რა პირობებია ეხლა. არც ერთი სერიოზული კაპიტალისტი არ ჩასდებს თავის კაპიტალს იქ, საცა რისკი მოელის. ეს ჩვენ გვაიძულებს ანგარიში გაუწიოთ საქმეს. ჩვენ ვიცით, რომ ეს საქმე ძალიან საეჭვო არის მოგების თვალსაზრისით. ამით აიხსნება ის, რომ მიდიან და მოდიან. ვერ ვნახეთ ⁊ ვერ დავარჩინეთ ვერც ერთი სერიოზული კაპიტალისტი კონტრ-აგენტი, რომელიც კი ამ საქმეს ხელს მოსჰკიდებს და აიღებს და წაიღებს წყალს.

ასე იყო ბორჯომის წყლის საქმე. ნახევარ მილიონის წყალი წაღებულია. ფული მიღებულია. თუ ახალი, უკეთესი წინადადება არ გამოჩნდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დამზადებული წყალი შერჩება ჩვენ კონტრ-აგენტს. ჩვენ მას ეხლა წყალს ვაძლევთ მანეთად და ექვს შაურად.

(გ. ვეშაპელი: თითონ როგორ ჰყიდის!)

არ ვიცი, და არც ვარ ვალდებული ვიცოდე მაგი. ჩვენ გავეცით წყალი განსაზღვრულ ფასებში. თუ შევკრავთ მასთან ისეთ პირობებს, რომ ზედმეტ ფასებში გაყიდოს, მაშინ ცხადია, ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა, როცა იგი ზარალს ნახავს. ჩვენ გზა მივეცით თავისუფალ ვაჭრობას. როგორც ვიცით ბატ. ვეშაპელო, თქვენ და თქვენი ფრაქცია ამას აღიარებდით და არ ვიცით რად ხართ ეხლა ასე შეურიგებელი. თქვენ ალბად გამოიცვალეთ ის აზრი, რომელსაც წინად აღიარებდით.

გ. ვეშაპელი. თქვენი დემოკრატიული ინტერესი სადღაა?

თავმჯდომარე. უმორჩილესად გთხოვთ კერძო ლაპარაკს თავი დაანებოთ.)

ეხლა გადავიდეთ ჩვენ შეშის „პოდრიადის“ გაცემაზე, მონოპოლიაზე, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობს ბ. ვეშაპელი.

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ აქ არავითარი მონოპოლია არ არის. ⁊ თუ ასეთ აზრს გამოსთქვამს ბ. ვეშაპელი, ეს მარტო იმას მიეწერება, რომ მას კარგად ვერ წაუკითხავს ხელშეკრულება. გულახსნილად რომ წაეკითხა მას ხელშეკრულება, დაინახავდა, რომ იქ ნატამალიც არ არის მონოპოლიისა.

რაზეა აქ ლაპარაკი?

საზოგადოება „კოჭრის ღერძი“ ღებულობს ვალდებულებას განსაზღვრულ ფასებით დაამზადოს შეშა, და ჩაგვაბაროს ამ განსაზღვრულ ფასებში. ეს ფასები გამორკვეულია. ჩვენი მთავრობა მონაწილეობას ღებულობს, ჩვენი აგენტები იქ არიან.

ამ ხელშეკრულებაში ფასები არის დასახელებული, მაგრამ ნათქვამია, შეიძლება ფასები დაკლებული იყოს ან ცოტა მომატებული იყოს, იმის მიხედვით თუ როგორი იქნება ადგილობრივი ხელფასი. თქვენ კარგათ იცით, რომ ხელფასი დღითი დღე იცვლება და არც ერთი კაპიტალისტი ეხლა ვერ დაგპირდებათ, რომ ის ხვალ მოგიტანთ შეშას ამა თუ იმ ფასებში, თუნდა 600 მან. ჩვენ არ დაგვიწერია როგორი უნდა იყოს საფასური ამ შეშისა, მხოლოდ, სანიმუშოდ, ხელშეკრულობაში, ამ ფასად აღვნიშნეთ 190 მან. ვთქვით, რომ შეიძლება დაკლება, და შეიძლება მომატება ფასისა. მაგრამ შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში, თუ ჩვენი კონტრ-აგენტი ამას დაადასტურებს. და თუ მე ნებას მივცემ, სად არის აქ მონოპოლიის ხასიათი? აქ სწერია, რომ „რუნო“ აჩვენებს იმ ადგილს, სადაც უნდა შეშა დამზადდეს. მე ნებას ვრთავ. თუ იმ ადგილს აირჩევს, სადაც არ შეიძლება მოჭრა, მე ნებას არ მივცემ. იქ ნათქვამია: „ბუჩქი“, ხე, ტყე, თუნდაც ხმელი ხე, ტყე რაციონალურის მეურნეობის მიხედვით უნდა იხმარებოდეს. თუ ბ. ვეშაპელი გაიცნობს რას ნიშნავს ეს სიტყა „რაციონალური მეურნეობა“, როგორ არის დაცული ინტერესი ხაზინისა, ინტერესი სატყეო მეურნეობისა სოციალური მეურნეობა, რაში მდგომარეობს, თუ ამას ნახავს ბ. ვეშაპელი მაშინ აღარ იტყვის, რომ აქ არის მონოპოლია. მაგალითად, უუ „რუნომ“ წარმოგვიდგინა ისეთი პირობები, რომლებიც ჩვეთვის მიუღებელია, და გვითხრა: „ამ ფასებით არ შემიძლიან ჩაგაბაროთ შეშაო“, მე შემიძლიან, ამ პირობების ძალით, ერთი საჟენიც არ მოვაჭრევინო. მაშ სად არის აქ მონოპოლია?! მონოპოლია მაშინ არის, თუ თქვენ დაემყარეთ „სოც. დემოკრატებს“, რომელიც რუსულ ენაზე გამოდის. ის დასწერს ასე. მე მაკვირვებს: რა ზნეობრივი უფლებით ემყარებით თქვენ იმ გაზეთს, რომლის დახურვასაც ოფიციალურად მოითხოვდით თქვენ მთავრობისაგან. თუ ეს გაზეთი, თქვენი აზრით ეწეოდა რესპუბლიკის საწინაალმდეგო აგიტაციას, რათ შეიცვალეთ თქვენი აზრი? როცა ჩემს სამინისტროს წინააღმდეგ დაიწერა ამ გაზეთში რამე თქვენ დაიწყეთ ასე ხარბათ კითხვა, გამოდიხართ აქ ტრიბუნაზე, მოგაქვთ წერილები და კითხულობ[illegible] რაც შეეხება „სოც, დემოკრატ“-ს მე უკვე განკარგულება მაქვს მიცემული, რომ ცილისწამებისათვის პასუხის გებაში მიეცეს რედაქტორი ან ავტორი იმ წერილებისა, და ნახავთ რა სასჯელი მოელის ჩვენს რესპუბლიკაში ცილის მწამებელს. მხოლოდ, თქვენ გირჩევთ, ყოველ შემთხვევაში, არ დაეყრდნოთ იმ გაზეთს, რომელიც ოფიციალურად იყო იქ დასაბუთებული და რომლის დახურვა ოფიციალურად მოითხოვეთ. ეს დამახასიათებელი არის თქვენი პოლიტიკური ფიზიონომიისა, პოლიტიკური სახისა. ვერაფერი ღირსეული საშუალებაა, ასეთი გამოყენება პოლიტიკურ მოწინააღმდეგისა.

ბატონი ვეშაპელი დიდ დანაშაულად მითვლის, რომ მთავრობამ ჩამაბარა „კომიტეტ სნაბჟენია“-ს ხელმძღვანელობა. არ ვიცი, რამე საქმე, რომ გადმოგცენ და დაგავალონ რამე საქმის შესრულება და თქვენ შეძლების დაგვარად შეასრულეთ ეგ საქმე—ნუ თუ ეს დანაშაულია. რაში არის აქ დანაშაულობა? ბ-ნ ვეშაპელს მეტად ორიგინალურად ესმის შეკითხვა, რომ ასეთი მოსაზრებებით სარგებლობს. მე კი, პირადათ, არავითარ დანაშაულობას არ ვხედავ, რომ მთავრობამ მე დამავალოს რამე, და მე ვასრულებდე ამას. შეიძლება, რომ მე ვალდებულობას ვერ ვასრულებ, მაშინ შეიძლება ამაზე აქ ლაპარაკი. მაგრამ, თვითონ ის ფაქტი, რომ მთავრობის დავალებით საქმე ამიღია, რა დანაშაულობაა ამაში? ორიგინალური პრეტენზია არის ბ-ნო ვეშაპელო!

ახლა მე მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ იმ უანგარო პირებზე, რომელზედაც დიდი ეპისტოლე წარმოადგინა ბატონმა ვეშაპელმა. მე მინდოდა ბ-ნ ვეშაპელს დაესახელებინა გვარი იმ კაცისა, რომელიც უდგია იმ საზოგადოებას სათავეში და ხელს აწერს იმ წერილს, რომელიც აქ წაიკითხეს. მინდოდა, რადგან ეს კაცი სპეკულიანტი იყო მაშინ, როცა სპეკულიაცია არ არსებობდა. იგი მოქმედებდა ჯაბართან ერთად. ბატონი ვეშაპელი ბევრს სწერდა და ბევრს ლაპარაკობდა განსვენებულ ჯაბარზე და მის თანამშრომელზე. კერძო ხმები არის—აი ერთი ამ პირთაგანი არის რომ ხელს აწერს და ლაპარაკობს უანგარობაზე-უანგარო კაცებზე.

საერთოდ, უნდა მოგახსენოთ ერთი რამ. აქ, და საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ჩვენ გზას უჭრით კერძო ინიციატივას, არ ვაძლევთ საშუალებას კაპიტალი გამოყენებული იყოს ისეთ საქმეებში, ისეთ წარმოებაში, რომელშიაც ყველა დაინტერესებულია. ეს ნამდვილი არ არის. ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ ჩვენს კაპიტალისტებს და ვთხოვეთ: დაგვეხმარეთ, მიიღეთ სახელმწიფო ქონება, რომელიც ჩვენს ხელშია, მაგრამ მათ ყურადღება არ მიუქცევიათ. თქვენ მოიგონეთ ის გაჭირვების დრო, როცა ბონების ბეჭდვას უფლება გამოელია. 300 მილ. დავბეჭდეთ და შეთანხმება არც სომხებთან, არც ადერბეიჯანთან არ მოხდა. მოიგონეთ ის დრო, როცა საქართველოს რესპუბლიკა დარჩა სრულიად უფულოდ, მოიგონეთ ის უფსკრული, რომელთანაც ჩვენ მიგვიყვანა ფინანსიურმა კრახმა. სწორედ ამ დროს ჩვენ მივმართეთ კაპიტალისტებს—თქვენ ფული გაქვთ, ჩვენ ქონება, მიიღეთ ეს მასალა, დაგვეხმარეთ, აწარმოეთ საქმე, და გამოგვიყვანეთ იმ საშინელ მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩვენ ვართ. მერე იმ კაპიტალისტებმა გამოგვიწოდეს ხელი? დაგვეხმარა ეს ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოება, რომელიც თქვენ შეადარეთ უსუსურ ინტელიგენციას. როგორ ხაზს დაადგა ეს უსუსური ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოება, რა ქნა? არაფერი. ეს ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოება დადიოდა და ცდილობდა გაეგო იყო თუ არა რაიმე წინადადება, რომლის საშუალებით შეიძლებოდა გვეშოვნა ორიოდე გროში სახელმწიფოსათვის. შემოჰქონდათ თუ არა ამ ვაჭართა საზოგადოებას რაიმე წინადადება, რომლის საშუალებით შეიძლებოდა გვეშოვნა ფული? მე ამ ტრიბუნიდან ვაცხადებ აშკარად, რომ არ შემოჰქონდათ.

მაგალითად, ჩვენ დავნიშნეთ ტყავეულობის გაყიდვა, ტყავეულობა ერთი იმ საგანთაგანი იყო, რომლის გაყიდვა შეიძლებოდა. იმ ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფმა, რომელიც ჩვენ გვევაჭრებოდა, როცა ჩვენ ჯარ გავყიდეთ იჯარით, უარი გამოგვიცხადა, და არც ერთი წინადადება ამ კაპიტალისტების ჯგუფს არ შემოუტანიათ. შემდეგ, როცა ჩვენ ბონების შესახებ სომხებთან შეთანხმება მოვახდინეთ, და ფინანსიური გაჭირვება გადავიტანეთ, აღარ იყო ჩვენთვის საჭირო, რომ ეს საგანი—ტყავი—გადაგვეცა კერძო ხალხის ხელში. და მე, დღეს ამას ნაწილ-ნაწილ ვასყიდი კოოპერატივებს ნორმალურ ბაზრის ფასებში. მაგრამ მაშინ, როცა გასაჭირში ვიყავით, არა ერთი ქართველი კაპიტალისტი არც შემოსულა, რომ არ მოეთხოვა ტყავის უიჯაროდ მიცემა. იმ პირობებით, რომელსაც ისინი გვიდებდნენ, ჩვენ ტყავს ვერ მივსცემდით.

აი, ბატონებო, თქვენი უანგარო კაპიტალისტების მოღვაწეობა. ეს უანგარო კაპიტალისტები რას შვრებოდენ, როცა ჩვენ ვშრომობდით?

ამბობენ, ჩვენი საბაჟო უკანონო არის, დაე ჩვენი სოციალისტური, ნაციონალური საბჭო უკანონო იყოს, მაგრამ საზოგადოებამ გამოგვგზავნა და დაგვავალა წარმოადგინოთ მისი შეხედულება.

მე ეხლა მინდა დავუბრუნდე იმ საგანს, რომლის შესახებ ლაპარაკითაც დავიწყე სიტყვა. ბ. ვეშაპელმა იცის, ალბად, რომ ნაციონალურმა საბჭომ, როცა იგი ნაციონალური საბჭო კერძო კულტურული საზოგადოება იყო, გაყიდა ტყავი ერთ კაპიტალისტთა ჯგუფზე. ბ. ვეშაპელი პრეზიდიუმში იყო და მონაწილეობა მიიღო ტყავის გაყიდვაში. მე ჩემს თავს ნებას არ მივსცემ, რომ ვთქვა: პრეზიდიუმის წევრმა განზრახ ჩაიდინა ეს. მე შორს ვარ ვიფიქრო, რომ ამ პრეზიდიუმმა, მის წევრმა განზრახ მიაყენა რესპუბლიკას ზარალი. მე თქვენ ჩვეულებას არ მივყვები, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ სულ რაღაც სხვა განზრახვით გაქვთ შემოტანილი ეს შეკითხვა. მე არ გამოუდგები თქვენ გზას, მე არ ვიტყვი, რომ რაღაც ინტერესებით უმოქმედნია პრეზიდიუმს, რომ პრეზიდიუმის წევრს კანონი დაურღვევია. მაგრამ, მე მინდა აღვნიშნო, რომ ბ. ვეშაპელი პრეზიდიუმის ერთი წევრი იყო და იცოდა, თუ რა პირობებში და რა ფასებში გაიყიდა ეს დიდი და ძვირფასი საგანი—არსებულ, ეგრედ წოდებულ, მაგარ ფასებში, რომელსაც 30 პროცენტი ემატებოდა ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ. ამ პირობებში ჰყიდდნენ ტყავს, და ამ პირობებზე ბ. ვეშაპელმა ნება დართო.

(ვეშაპელი. მე დავრთე ნება?) როგორც პრეზიდიუმის წევრი ვალდებული იყავით, და შეგეძლოთ.

(ხმა მარჯვნიდან: ჟორდანიაც იქ იყო).

ხომერიკი. მე მაგალითი მოგახსენეთ. შემდეგ, როცა საჯარო ვაჭრობა დავნიშნეთ ამ საგანზე, ეს ხელშეკრულობა მთავრობამ მომანდო გამეუქმებინა, როგორც სახაზინოსთვის საზარალოდ. აქ ხაზინას ამ ოპერაციით ეკარგებოდა 15—18 მილიონი საჯარო ვაჭრობაში. ამის ფასები არის 812 მანეთი. აქედან დაინახავთ თქვენ, თუ როგორ ზრუნავდნენ ჩვენი ხაზინისთვის და ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის სხვათა შორის ბ. ვეშაპელი და კერძოდ კაპიტალისტები.

როცა გამოდიან აქ და ლაპარაკობენ, რომ ჩვენ არ ვღებულობთ მხედველობაში ხაზინის ინტერესებსა და კანონს,—ეს შეიძლება ილაპარაკონ ისეთმა პირებმა, რომლებმაც უკეთესად მოაწყეს ასეთი საქმე ⁊ დაიცვეს ხაზინის ინტერესები. ბ. ვეშაპელს და იმ ჯგუფს, არსებულ კაპიტალისტების ჯგუფს, ყოველ შემთხვევაში არა აქვთ უფლება ილაპარაკონ, რომ შელახულია პატიოსნება.

ჩვენ არ დაგვირღვევია არც ხაზინის ინტერესი. ჩვენ მივყიდეთ ბორჯომის წყალი კერძო პირს. რაც შეეხება ხე-ტყის გატეხას, აქ არავითარი მონოპოლია არ არის. აქ სამინისტროს ხელშეკრულობით სახელმწიფო მონაწილეობას ღებულობს, ფასებს აწესებს, კონკურენციას უწევს კერძო კონკურენციას. მე არ მაკვირვებს, როცა კაპიტალისტები დიდ მითქმა-მოთქმაში არიან. მე მესმის მათი თავის ტკივილი. დღევანდელ პირობებში ეს ერთად-ერთი საშუალებაა ვებრძოლოდ სპეკულიაცას. თქვენ იცით, რომ 800—900 მ. იყიდება დღეს შეშა. იმ საჟენს, რომელსაც ჩვენი კონტრ-აგენტები ყიდულობენ, სჭრიან ორ ნაწილად. და ჩვენ ვცდილობთ, რომ ასეთ პირობებში დავეხმაროთ კერძო ინიციატივას. ჩვენ ვცდილობთ, რომ იმის მაგივრად, რომ ხალხმა იყიდოს საჟენი შეშა 300 მან. იყიდის 100 მანეთად. ასეა საქმე. თუ ეს დანაშაულია—არ ვიცი.

თავმჯდომარე. უკვე 3 საათზე მეტია. გნებავთ განვაგრძოთ კრება თუ არა? ვის ნებავს ამის შესახებ სიტყვა.

კ. ნინიძე. ჩვენ საჭიროდ ვთვლით, რომ ეს კრება დავასრულოთ ბარემ ამ შეკითხვის შესახებ.

## პარლამენტის გარშემო

დღეს ეროვნული საბჭოს მორიგი კრებაა.

წესრიგი:

1. საბოლოო ტექსტი—დასამზადებელ თამბაქოს გადასახადისა და თამბაქოს სააქციზო წესდების ცვლილებისა.

მომხს. რ. არსენიძე.

2. საბოლოო ტექსტი—სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიის გაეროვნების კანონისა.

მომხს. შ. ამირეჯიბი.

2. საბოლოო ტექსტი—კანონისა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა ეროვნულ საბჭოში.

მომხს. შ. ამირეჯიბი.

4. განხილვა კანონ-პროექტის—სპეკულიაციასთან ბრძოლისა.

მომხს. ი. ბართაშვილი.

5. საბჭოს წევრის ალ. ახმეტელის მთავრობისადმი შეკითხვა—პურის და სანოვაგის სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის მთავრობის წინაალმდეგ.

საკონსტიტუციო კომისიას გადაეცა მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ შემუშავდეს დამატებითი კანონ-პროექტი საქართველოს მოქალაქეობის მოპოებისა და დაკარგვისა, აგრეთვე სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება, რომ ეროვნულ საბჭოს სახელწოდება შეიცვალოს და ეწოდოს „საქართველოს პარლამენტი“.

ამ მოკლე ხანში ეროვნული საბჭო განიხილავს მეტად საყურადღებო და საჭირო კანონპროექტს — მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისას.

## დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

ბერლინი, 11 სექტემბერი. დასავლეთის ფრონტი. იპრის სამხრეთით და ლა-ბასეს სრუტეს ჩრდილოეთით ჩვენ ინგლისელთა შეტევები მოვიგერეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. გზატკეცილ პერონ-კამბრეს სამხრეთით ინგლისელთა განახლებულმა შეტევებმა კვლავ გამოიწვიეს სასტიკი ბრძოლა გუზოკურტთან და ეპეისთან. ფრონტის ზოგიერთ ადგილებზე მტერი მოვიდა ჩვენს წინა ხაზებამდე, მაგრამ ძლიერი შეტევით უკუ ქცეულ იქმნა. მტერმა დაგვიტოვა ჩვენ 3000 ტყვე. ფრანგების ნიადაგვიტოვა... წილოებრივი შეტევები გზატკეცილ გამ-სენკვენტინის ორივე მხრით ჩვენ მიერ მოგერებულ იქმნა. ელეტის და ენის შუა შუადღის შემდეგ ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო. სალამოს მტერი იერიშზე გადავიდა, მაგრამ დამარცხდა.

სტამბული, 11 სექტ. სამხედრო ცნობა პალესტინის ფრონტი. განაპირა უბნებში ძლიერი ბრძოლაა. ჩვენი ხაზების წინ მზვერავ რაზმების ბრძოლაა, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ მთავრდება. სხვა ფრონტებზე სუსტი საარტილერიო ბრძოლაა.

ვენა, 11 სექტ. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. აზიავოსთან მტრის მზვერავი რაზმები დამარცხდნენ.

ზოგიერთ ადგილას მტერი შემოვიდა ჩვენს სანგრეში, სადანაც ის მალე გარეკა ჩვენმა ქვეითა ჯარმა. პიავის ფრონტზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა.

პარიზი, 11 სექტ. სამხედრო ცნობა. ვუპისთან გერმანელთა შეტევა მოვიგერიეთ. ფრანგებმა ხელთ იგდეს ტყვეები და ტყვიის მფრქვეველები. ლიაფოს და სედი-სიურ-ესნის მიდამოებში გერმანელები 6-ჯერ შეეცადნენ მოახლოვებოდნენ ჩვენს ახალ პოზიციას, მაგრამ ყოველთვის მოგერებულ იქმნენ; ფრანგებმა წამოიყვანეს 150 ტყვე.

ამერიკის ოფიციალური სამხედრო ცნობა, 11 სექტემბერი. ლორენთან ჩვენმა რაზმებმა გაიმარჯვეს, მტერი დიდათ დააზარალა და ბევრი ტყვეც წამოიყვანა.

ბერლინი, 11 სექტ. ბრძოლის ფრონტებზე სიმშვიდეა.

კიევი (ბერლინით), 10 სექტ. მოხალისეთა ლაშქარი გელენდჟიკის სამხრეთით მიიწევს და თუაფსედან დღე ნახევრის სავლელ მანძილზეა.

---

### ამონაწერი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან.

მთავარი გამგე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა ინიშნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ; ამ საზოგადოების მთელი წარმოება, შემოსავალ-გასავალი და საერთოდ ფინანსიური მხრივ დაემქვემდებაროს სახელმწიფო კონტროლს. გადაეცეს საზოგადოების წესდების პროექტი მთავრობის თავმჯდომარეს, რათა მან, თავის შეხედულებით, შეიტანოს ამ წესდებაში დაწარჩენი შესწორებანი და ცვლილებები, თუ კი ამას დაინახავს საჭიროდ.

---

საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობათა უცხო ქვეყნებში ორგანიზაცია შეადგენს გარეშე საქმეთა სამინისტროს პირდაპირ მოვალეობას და კომპეტენციას, ამიტომ შტატები და ხარჯთაღრიცხვა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობისა რუსეთში გადაეცეს ხსენებულ სამინისტროს სათანადო განკარგულებისათვის.

---

ტფილისის და ქუთაისის მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამართველოებში გაუქმებულად იქმნან 1918 წლის 1 სექტემბერს, და ყველა მათი მოღვაწეობა და საქმეები გადაეცეს ცენტრალურ სამიწო გამგეობას. ვინც შტატ გარეშე დარჩება ამ დადგენილების გამო, დაკმაყოფილებული იქმნას სალიკვიდაციო ჯილდოთი საზოგადო წესით, 10 მილიონიან ფონდიდან.

---

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

◯ შრომის სამინისტრომ დაუგზავნა ყველა სამკურნალო კასების გამგეობათ შემდეგი მიწერილობა: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შეუდგა ორგანიზაციას აბასთუმანში სანატორიის დასაარსებლად. სანატორია განზრახულია არა კერძო პაციენტებისათვის, არამედ მთავრობის და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის. მაგრამ მთავრობასა სურს რომ ამ სანატორიით ისარგებლონ აგრეთვე სამკურნალოთა კასების წევრებმაც. ამისგამო საჭიროა რომ ამ კასათა წევრებმა წარადგინონ თვისი სურვილი და მოსაზრებანი და მიიღონ ენერგიული ზომები ამ საქმის ორგანიზაციაში. ამ საკითხის მოსაგვარებლად სამინისტრო 17 სექტემბერს მიმდინარე წლისა სამინისტროში მართავს თათბირს და სთხოვს ყველა სამკურნალო კასათა წარმომადგენლებს გამოგზავნონ თვისი რწმუნებულნი ამ თათბირზე“.

◯ დამტკიცდა ხელშეკრულობა შრომის სამინისტროს მიერ ფოთის პროფესიონალურ მტვირთველთა კავშირის რწმუნებულ ლ. კიურაძისა და მელზინკიხერის სააქციონერო საზოგადოების რწმუნებულის კაპიტან გერმანელთა ჯარის კობილეტის შორის. ყველა პირობანი ამ კოლექციურ ხელშეკრულობისა სავალდებულოა როგორც შავი ქვის ექსპორტერებისათვის, აგრეთვე ამ კავშირის ყველა წევრთათვის.

◯ შინაგან საქმეთა სამინისტრო ეროვნულ საბჭოში წარსადგენად ადგენს კანონ-პროექტს საგანგებო რაზმის შემადგენლობის გაძლიერების შესახებ. ამის გამო სამინისტრომ რაზმის უფროსს მოსთხოვა დაწვრილებითი ცნობები რაზმის მოქმედების შესახებ დღიდან დაარსებისა ვიდრე დღევანდლამდე.

◯ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოსთხოვა გუბერნიის კომისარს დაწვრილებითი ცნობები ლტოლვილ ბერძნების გაქურდვის შესახებ და დაავალა მიიღოს ზომები ნაქურდ საქონლის ჩასაბარებლად.

◯ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უპასუხა გერმანიის დელეგაციას მის კითხვაზე, რომ მის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები იმ სომხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე დიდ შევიწროებას განიცდიან ოსმალთა ბრბოებისაგან.

◯ სამხრეთ ოსეთის ნაციონალურმა საბჭომ წარუდგინა საქართველოს მთავრობას თავისი მოსაზრებანი ოსებისთვის იარაღის აყრის შესახებ. პროექტში ნათქვამია, რომ იარაღის აყრა უნდა მოახდინონ ადგილობრივმა ძალებმა და შეგროვილი იარაღი დარჩეს ადგილობრივ ორგანიზაციების განკარგულებაში, რათა ოსები დარწმუნდენ, რომ იარაღი არსად არ მიაქვთ. ეს მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის მმართველობამ შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნა.

◯ შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო ბორჯომიდან ურუშაძისაგან: „შეუდექით თიბვას იმ მამულში, რომელშიაც ფერმა გვაქვს განზრახული, მაგრამ ოშორის თათრები არ გვიშვებენ და გვთხოვენ წერილობით ნებართვას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან და ახალციხის ფაშისაგან. გთხოვთ განკარგულება უბრძნოთ, რომ არ დაგვიშალონ თიბვა და აკრეფა“.

◯ ახალ სტილის შესახებ შრომის სამინისტროში მოხდა თათბირი, რომელსაც დეესწრნენ წარმომადგენელნი ქართველ, რუს და სომხის სამღვდელოებისა შინაგან საქმეთა იუსტიციის და შრომის სამინისტროებისა და პროფესიონალ კავშირის მსახურთა. წარმომადგენელებმა, როგორც ქართულ ისე სხვა სასულიერო უწყებისამ განაცხადეს რომ ისინი აღიარებენ ახალ სტილს, მაგრამ საეკლესიო დღესასწაულები ძველი სტილით უნდა ვიდღესასწაულოთ ვიდრე მსოფლიო კრება ამას არ დაადასტურებს. კრებამ თანახმად შრომის მინისტრის მოხსენებისა შეადგინა კომისია ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

## სახალხო განათლება.

◯ განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე რათა, დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნას ყველა სასწავლებლების შენობები, რომელიც ამ ჟამად დაკავებულია გერმანელ ჯარისა და ლტოლვილების მიერ.

## ერობა.

◯ ხარაგაულიდან ცნობაა მიღებული, რომ საერობო აწევანი, რომელიც ამ მაზრაში დანიშნული იყო 1 სექტემბრისათვის არ შემდგარა და 15 სექტემბრისთვის გადიდვიათ.

## ასოფლო კომისიაში

◯ სასოფლო კომისიამ დაადგინა დღეებში გაგზავნოს აგრარული რეფორმის გასატარებლად ტფილისის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრებში ეროვნულ საბჭოს შემდეგი წევრი: მ. კლიმიაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, რ. ჩიხ[illegible]ძე, გ. ცინცაძე, კ. ანდრონიკაშვილი და დ. [illegible]თიშვილი (არა საბჭოს წევრი).

## ფოსტა-ტელეგრაფი

◯ ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი 19[illegible] შემდეგია: იანვარში მიღებულია 536000 [illegible] თებერვალში—513000 მ., მარტში—882[illegible] მან., აპრილში—582000 მან., მაისში—624[illegible] მან., ივნისში—721000 მან., და ივლისში 773000 მან. ყოველთვიური ხარჯი საერთოდ უდრის 200000 მან., ეს ცნობები ამოკრებილია ფოსტა-ტელეგრაფის ნიხრის გადიდების იმ კანონ-პროექტიდან, რომელიც ამა წლის 10 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ შეიწყნარა.

◯ 5 ენკენისთვიდან ბაშკიჩეთის (ბორჩალოს მაზრა) ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში განახლებულ იქმნა ფოსტა-ტელეგრაფის მოქმედება.

## რკინის გზაზე.

◯ რკინის გზათა მმართველობის ყველა განყოფილებაში 13 სექტემბერს მოხდება რესპუბლიკის სახაზინო გზათა მუშა ხელოსნებისა და მოსამსახურეების ყრილობისათვის დელეგატების არჩევნები.

◯ საერთო საქმეთა მმართველი გ. გ. ფიცხელაური გზათა მინისტრის ბრძანებით აღიჭურვა დიქტატორის უფლებით საქართველოს რესპუბლიკის ყველა გზებზე. მას პირდაპირ დაექვემდებარებიან: სახაზინო გზათა უფროსი და კახეთის რკინის გზის გამგე. მასვე მიენიჭა განსაკუთრებული უფლება განყოფილების უფროსთა თანაშემწეებამდის მოსამსახურეთა მიღებისა და დანიშვნა დათხოვნის.

## სხვა და სხვა ამბები.

◯ ზუგდიდიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: სენაკის მაზრა და სამი მეოთხედი ზუგდიდისა გაიწმინდა ბრბოებისაგან. მეთაურების უმრავლესობამ იარაღი დაჰყარა, ურჩობენ წმინდა ყაჩაღები, რომელნიც მომწყვდეულნი არიან ენგურის მარცხენა ნაპირას. სამურზაყანოში სრული ანარქიაა.

◯ მხატვარმა კ. ქავთარაძემ დაამზადა ქართული შრიფტი საბეჭდავ მანქანებისთვის, რომელიც შეკვეთილი ჰქონდა საგზაო და განათლების სამინისტროებიდან.

◯ ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან ჩრდილოეთ კავკასიის მთიულების წარმომადგენლები, რომლებსაც მოლაპარაკება აქვთ გერმანიის სამხედრო მისიასთან. მოლაპარაკების მიზანია მთიულებს შორის უწესოების მოსპობა და მათ ტერიტორიაზე წესიერების დამყარება, აგრეთვე ქართულ სამხედრო გზაზე ბოროტ-მოქმედების მოსპობა. მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ავსტრიის და ოსმალეთის სამხედრო დელეგაციები.

◯ გერმანიის სამხედრო დელეგაცია იტყობინება, რომ ცენტრალურ სახელმწიფოთა ერთი მხრით და მეორე მხრით უკრაინის, დონის და ყუბანის შუა მოლაპარაკება ჯერ ჯერობით ცენტრალურ სახელმწიფოთა სასარგებლოდ სწარმოებს.

◯ გუშინწინ, საღამოს 8 საათზე, სასტუმრო „ფირუზაში“ გასკდა ყუმბარა. იმ ოთახში, სადაც ყუმბარა გასკდა, იპოვეს ფოტოგრაფიული სურათი ვიღაც ნიკოლოზ ივანესძე წერეთლისა, რომელიც საგანგებო რაზმმა ერთი საათის შემდეგ დაატუსაღა. დაჭრილია სასტუმროში მყოფი ზოგი ახალგაზრდები. საგანგებო რაზმი საქმეს იძიებს.

◯ 11 სექტემბერს უმთავრეს სახალხო გვარდიის საგანგებო რაზმის უფროსი პორ. ბერძენიშვილი უეცრად გავარდნილ ყუმბარის ნატეხით სამ ალაგას დაიჭრა ფეხში. დაჭრილი მოათავსეს საავადმყოფოში.

◯ სასურსათო კომიტეტი აწყობს ტრანსპორტს ყაზბეგის რაიონიდან ფქვილის შემოსატანად, პურს შემოიტანენ ჩრდილოეთ კავკასიიდან, ინგუშითით.

◯ იგდირიდან ჩამოსული გადმოგვცემს, რომ მთელს სურმალინის მაზრაში სომხების ეკლესიები მეჩეთებად არის გადაქცეული. მოსავალი დიდია.

◯ სომხეთის საბჭომ დაადგინა რესპუბლიკის მცხოვრებთ იარაღი აჰყაროს.

◯ პეტრე პავლეს ციხიდან, როგორც პეტროგრადიდან გვატყობინებენ, განთავისუფლებულ იქმნა სახალხო კომისრების საბჭოს მიერ ცნობილი პეტროგრადის სფეროებში ვ. დ. დუმბაძე, რომელსაც სახელმწიფო ღალატისათვის ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს მისჯილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ ყოფილ მეფის მიერ შეეცვალა სამუდამო კატორგაზე.

◯ ტფილისში იმყოფება შავი ზღვის რკინის გზის წარმომადგენელი ინჟ. მატრიონინსკი, რომელიც შუამდგომლობს გზათა სამინისტროს წინაშე რკინის გზის მუშაობის განახლებაზე.

◯ საავტომობილო განყოფილებამ უკვე აღწერა 600 საბარგო და სამგზავრო ავტომობილი. ორგანიზაციული მუშაობა ძლიერ გაჩაღებულია, ეწყობა სახელოსნოები და გარაჟები.

შეცდომების გასწორება: ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომერი 40-ი, შეცდომით კი ეწერა № 30.

38-ში „საუბარი ბ. ა. ჯამალიანთან“ სწერია: „სომხის მგოსანი არაქელიანი“ უნდა იყოს „სომხის მგოსანი ჰოარონიანი“.

---

# სპეციალური ცოდნა.

[illegible]ილ სპეციალ. სასწ—ში დღევანდელ გამოცდის გამო.

[illegible]ლა, როდესაც ყველასათვის აშკარა შე[illegible], რომ ქვეყნის უზრუნველყოფისათვის სა[illegible]ა ეკონომიური მხარეების და მრეწველო[illegible] [illegible]ნვითარება, დიდი ყურადღება უნდა მი[illegible] [illegible]თ ეგრედ წოდებულ სპეციალურ ცოდ[illegible] [illegible]ცელების საკითხს.

[illegible]ი დიდი საქმე, მით უმეტეს ისეთი [illegible], რთული და დიდმნიშვნელოვანი, [illegible] არის მრეწველობის და აღებ-მიცე[illegible] [illegible]ნა და გაცხოველება, მოითხოვს [illegible]თა საკმაო კონტიგენტის აღზრდას. [illegible]ცით, რომ ქვეყნის ეკონომიური [illegible]ანსამტკიცებლად საჭიროა უმაღლესი, [illegible], დაბალი ანუ პროფესიონალური [illegible]თ აღჭურვილი პირნი. პირველნი არიან [illegible] ხელმძღვანელნი წარმოებისა, მეორენი— თანაშემწენი და უახლოესი თანამშრომ[illegible] და მესამენი—ოსტატები, ხელოსნები, მცოდნე მუშები და შეგნებული შემსრულებელნი დაკისრებულ საქმისა.

ყველა ესენი საქმისთვის მეტად საჭირონი არიან. რაც უნდა საუცხოო საქმე ჰქონდეთ, ის ფუჭი და უსარგებლოა, თუ არავინ აატრიალა ბორბლები. თუ წარმოების საჭირო პროცესებს, მათ მსვლელობას სათანადო ანგარიში არ გაუწია და სასურველი მიმართულება არ მისცა, თუ საერთო ხელმძღვანელობა, ზოგადი თვალყურის გდება, საქმის გაუმჯობესებაზე, ახალ დარგთა და მხარეების შექმნაზე არ იქმნა ფიქრი და მზრუნველობა...

მანქანები და მისი ნაწილები თავისთავად უსულო საგნებია და მათი სიცოცხლის, მოძრაობის და სარგებლობიანობის გამოსაწვევად ადამიანის შეხება, სულის შთაბერვაა საჭირო.

ეს უკანასკნელი კი ცოდნას მოითხოვს.

თუ ცოდნა არ არის, იქ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, და რამდენად მეტია ცოდნა, იმდენად მეტის გაკეთება მოხერხდება.

გასაოცარი შედეგები გერმანიის ტეხნიკისა და მრეწველობისა, რომლის მოწმენი ვართ მთელი ოთხი წლის განმავლობაში, აიხსნება სწორედ გერმანელთა ფართო ტეხნიკური მომზადებით, მათი ღრმა ცოდნით.

ფართო სპეციალურ ცოდნის გავრცელებას დაწინაურებულ ქვეყნებში დიდი ხანია უალრეს ყურადღებას აქცევენ კიდეც.

რუსეთის და ჩვენი ცხოვრების ჩამოქვეითებით შეიძლება მხოლოდ ახსნა იმ უყურადღებობისა ტეხნიკურ სწავლისადმი, რომელიც ამდენხანს იყო გამეფებული.

მაგრამ რაც იყო, იყო!..

მომავალ სამოსწავლო წლიდან საქართველოში არსდება რამდენიმე საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ტფილისში იწყებს არსებობას საშუალო ტეხნიკური და მიწის-მზომელთა სასწავლებლები, რომლებშიაც 1 კლასიდან, სადაც უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის ან საზოგადოდ საშუალო სკოლის 4 კლასის კურს დამთავრებულნი მიიღებიან, ნაციონალიზაცია იქმნება გატარებული.

თორმეტ ენკენისთვეს დაიწყო გამოცდები ზემო დასახელებულ სასწავლებლებში.

ქართველმა საზოგადოებამ, ალბად, უკვე შეიგნო ტეხნიკური სწავლა-განათლების მნიშვნელობა და იმედი უნდა ვიქონიოთ—დიდის ხალისით გამოგზავნის ის თავის შვილებს ასეთი სწავლის მისაღებად.

ეს გარანტიას მოგვცემს, რომ ქართული მრეწველობა და ტეხნიკა ამ ახლო მომავალში სასურველ ნიადაგზე დამკვიდრდება.

ინჟ. გ. გაგუაძე.

---

## სიტყვა-კაზმული მწერლობა თავისუფალ საქართველოში.

საერთაშორისო ომმა და რევოლიუციამ საზოგადოებრივ აზროვნებას თავისი ბეჭედი და დაღი დაასვა; როგორც ყოველ-დღიური, ისე პერიოდიული პრესა პუბლიცისტიკამ და პარტიულმა დავამ და კრიტიკამ დაიპყრო; პოლიტიკამ, შინაურმა და გარეულმა ომმა და ანარქიამ დაჩრდილეს ყოველივე; ტყვია-წამალმა და უსურსათობამ ჯოჯოხეთი დაატრიალა და კულტურული კაცობრიობა სიველურისა და გადაშენებისაკენ დააქანა.

ომი და ანარქია ანადგურებს საუკუნოებით შექმნილს კულტურულ სიმდიდრეს, როგორც მატერიალურს, ისე სულიერს. ქვეყნის წინაშე საზარელი საფრთხე აიჭუზა; ადამიანი მხეცდება, შიმშილი და შევიწროება მას აბოროტებს, შიშველ ეგოიზმს უღვიძებს და ძმობა-ერთობა-სიყვარულის ალაგს განუსაზღვრელი შური, მტრობა და ბოროტება იჭერს ადგილს.

ყველაფერი ეს აფერხებს სხვათა შორის კაცობრიობის სიცოცხლის დამამშვენებელს და დამტკბობს ხელოვნებას, ხელოვნება, ეს ის წმინდა სარკეა, რომელშიც მოსჩანს განათლებული კაცობრიობის გული და სული; ხელოვნება, ეს ის დიადი გამაფაქიზებელი და სულის ამამაღლებელი უკვდავი ტაძარია, რომელიც სიცოცხლეს უაღრესათ ატკბობს, ანეტარებს, ხოლო ჯოჯოხეთურ ცხოვრებას თავის ცხოველ-მყოფელ სხივებს აფრქვევს და ასამოთხევებს.

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ლიტერატურაზე, კერძოთ სიტყვა-კაზმულ მწერლობაზე.

დღეს, ამ განახლებულს, აღმაშენებელ მუშაობის ხანაში, როდესაც შენდება ახალი დემოკრატიული საქართველო, პირველ ყოვლისა საჭიროა მისი აშენება ჩვენს გულსა და სულში.

როგორც ცემენტი, ისე აერთებს, ამაგრებს და აკავშირებს საქართველოს ყოველივე ძველს სამშობლო და თავისუფლების სიყვარული, რომელსაც ჩვენს გულსა და სულში ღმრათ ნერგავს სიტყვა-კაზმული მწერლობა.

მეცხრამეტე საუკუნის სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ აცოცხლა და ასულდგმულა საქართველო და მისი კულტურა.

მართალია გარეშე პირობებმა, ომმა და რევოლიუციამ წარმოშვეს და აღადგინეს ჩვენი სახელმწიფოებრივი თავისუფალი არსებობა, მაგრამ ეს შეუძლებელი და წარმოუდგენელი იქნებოდა, უკეთუ საქართველოს დემოკრატია პოლიტიკურათ გაუწრთვნელი და განუვითარებელი აღმოჩნდებოდა. ქართველი დემოკრატიის პოლიტიკურათ აღზრდის აუცილებელი საშუალება კი მისცეს თანამედროვე ჩვენს სახელმწიფოებრივს მოღვაწეებს იმ ვარსკვლავებმა, რომლებმაც ჩვენი ჯოჯოხეთური, წყვდიადით მოცული ცხოვრება გააშუქეს, უსამართლობა შეგვაძულეს, ხალხი, თავისუფლება და სამშობლო შეგვაყვარეს და ღრმა იმედი გულში ჩაგვინერგეს. ესენი იყვნენ ჩვენი დიდი მწერლები.

ეგნატე ნინოშვილმა ჩვენი დემოკრატია შავ-ბნელ წარსულში პოლიტიკურად აღზარდა, ენა ამოადგმევინა და თავისუფალ საქართველოს ბურჯად გადააქცია.

ამის შესახებ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ნათქვამიდანაც ნათლათა სჩანს სიტყვა-კაზმული მწერლობის დიადი მნიშვნელობა ერის, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენ აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია ყურადღება მიექცეს მწერლობას და მის აყვავებას.

თავისუფალ საქართველოში თავისუფლათვე უნდა აყვავდეს და გაიფურჩქნოს სიტყვა-კაზმული მწერლობა, რომელმაც თავისი მხატვრული ნაწარმოებით საქართველოში უნდა დაანთოს თავისუფალი სამშობლოს სიყვარულის ალი; ის ალი დასწვავს საქართველოს დამოუკიდებლობის მტრობას და განამტკიცებს იმ საძირკველს, რომელზედაც უნდა დაეყრდნოს მისი მომავალი.

ი. ი—ი.

## ომის გარშემო

**ნეიტრალური სახელმწიფოები** ესპანიამ თავისი დიპლომატიური წარმომადგენლების პირით მიმართა შვეიცარიას, ჰოლანდიას, შვეციას, ნორვეგიას, დანიას და ყველა ცენტრალურ სახელმწიფოებს ოფიციალური წინადადებით, რომ ხელ ახლად შეერთებულის ძალით მებრძოლ სახელმწიფოთა შორის ზავის ჩამოსაგდებათ იშუამდგომლონ. ამ წინადადებას პირველი ხმა სკანდინავიის სახელმწიფოებმა მისცეს, როგორც ვაჭრობაში უფრო შევიწროვებულებმა თანამედროვე ომის გამო. მათ შეუერთდა აგრეთვე ფინლიანდია. ამის შესახებ მოსალაპარაკებლათ აგვისტოს ბოლო რიცხვებში სტოკჰოლმში უკვე შეიკრიბნენ ყველა ჩრდილო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და მათ შორის დანიაც, რომ საერთო თანამშრომლობით გამოსძებნონ ამ მიზნის განსახორციელებელი მთავარი საფუძველი და დებულებანი. ხმებია, რომ ამათ ჰოლანდიაც მიემხრობა.

**ნემეცური პოლიტიკა.** რეიხსტაგის წარმომადგენლების ვიცე-კანცლერთან ყოფნის დროს გამოირკვა, რომ რეიხსტაგი არ იქნება მოწვეული, მიუხედავათ იმისა, რომ ამას თხოულობენ ნაციონალ-ლიბერალები და სოციალ-დემოკრატები. აღმოსავლეთის პოლიტიკაში ახალი კურსის გამოძებნას თვით მთავრობა თაობს ხალხის წარმომადგენლების დაუკითხავად.

**იაპონიის მდგომარეობა.** იაპონიაში ეხლახან დიდი ამბები ხდება, რომელიც იაპონიის ისტორიაში მთელ ეპოქას შეადგენენ. ბურჟუაზული გაზეთების რედაქციებს, სავაჭრო დაწესებულებებს მათ შენობებს და ბრინჯის საწყობებს სალხის ბრბოები თავს ესხმიან. კაპიტალისტების წინააღმდეგ მეტად აღელვებულია ხალხი, რადგან ისინი განგებ ფასებს უწევენ სანოვაგეს და, ეს მოძრაობა თან და თან ფართოვდება. თითქმის ყოველ დიდ ქალაქში ჯარსა და ხალხს შუა შეტაკებებია, რომელსაც აუარებელი მსხვერპლი მოაქვს.

## უცხოეთი.

ჰოლანდია.

ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბიუჯეტო სმეტაში დიდი ჯამი შეიტანა. ამ ანგარიშის მიზანია მოეწყოს ჰააგაში საშუამავლო ინტერნაციონალური ზავის ჩამომგდები დაწესებულება.

ამერიკა.

დიდი ხნის მეგობრულ მოლაპარაკების შემდეგ ბრაზილიის მთავრობა დასთანხმდა ვაშინგტონის მთავრობის წინადადებას, რომ ბრაზილიის ჯარებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ომში. ამ მიზნით ახლო მომავალში ბრაზილიის ჯარები შეერთებულ შტატებში გაიგზავნება სათანადო მოსამზადებლად.

ოსმალეთი.

ოსმალეთის ოფიციალურ გაზეთებში დაბეჭდილია სულთანის ირადე ყარსის არტაანის და ბათომის ახლად შემოერთებულ ოლქების მცხოვრებთა მიმართ, რომ ეს ოლქები 1877—78 წ. ომის დროს რუსებმა კონტრიბუციის სახით მიითვისეს და უსამართლოდ წაილესო, თუმცა ხალიფატი მუდამ ზრუნავდა ამ მხარის მცხოვრებლებისთვის და მადლობა ალლას, რომ ისევ თავის ძველ ჩამონაჭერს შეუერთდა და სიხარულის გრძნობით აღნიშნავს მომხდარ პლებისციტს და აცხადებს, რომ მზათ არის სიამოვნებით მიეგებოს ხალხის სურვილს.

ინგლისი.

ინგლისის სახელმწიფო მდივანმა ლორდ რობერტ სესილმა რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადა, რომ ინგლისის მთავრობას სრულიად არა სურს ინგლისს შემოუერთოს ამ ხანად შეთანხმებულთა ჯარებით დაკავებული გერმანული კალონიები.

ჩინეთი.

ხმის უმრავლესობით ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს შუშუტ-ჩანგი.

## საგურამო

(დუშეთის მაზრა)

საგურამოს მხარე ერთი საუკეთესო კუთხეთაგანია დუშეთის მაზრაში. ეს არის ის ადგილი, სადაც დიდებული ილია უგალობდა სამშობლოს თავისუფლებას და ამოქმედებდა თავის ზეგარდმო-ცხებულ ნიჭს უკვდავი პოემების დასაწერად. ეს არის ის ადგილი, სადაც მეორე სახელოვანმა ილიამ,წინამძღვარიშვილმა, აანთო ლამპარისამეურნეო სწავლა-განათ., რომელიც 35 წელიწადია ცოდნის სხივებს ჰფენს უვიცობის წყვდიადით მოცულ მხარეს. ადგილი დაჯილდოვებულია მშვენიერი ბუნებით—მდიდარი მინდორ-ტყეებით და სალი ჰაერით. მოსალოდნელია, რომ ასეთ მხარეს უნდა ამშვენებდეს ცოტად თუ ბევრად შეგნებული ხალხი. მაგრამ შეგნება აქვთ, სამწუხაროდ, ძალიან ნაკლებია. ხალხი მეტად უკან არის ჩამორჩენილი. ამითი აიხსნება, რომ ამას წინათ ხალხი ადვილად გაება რამდენიმეთ ბოროტ ადამიანთა პროვოკაციის ქსელში და ტყუილ-უბრალოდ დაღვარა თავის მოძმეთა სისხლი. მთავრობის გამოგზავნილი ჯარი ხალხმა მტრად მიიღო, ანუ, როგორც თვით ამბობდა, „თავადების მოსყიდულად“, და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა მას. კიდევ კარგი, რომ გონიერ ადამიანთა შთაგონებით, ბოლოს მიხვდა შეცდომას, თავი დაანება წინააღმდეგობას და იარალი ჩააბარა მთავრობის წარმომადგენლებს.

მიუხედავად ბუნების სიმდიდრისა, ხალხი არც ქონებრივად არის შეძლებული. აქამდის, მანამ პური ადვილი და იაფად შესაძენი იყო, ხალხი ხვნა-თესვას ეგრე რიგად არ მისდევდა. როგორც თვითონ ამბობენ, უფრო „ქალაქობდა“. შეშას, ნახშირს ჰყიდდნენ, და იმითი გამოდიოდნენ იოლად. ამიტომ იყო, რომ როდესაც ესე უცებ გაძვირდა პური, საშინელი სიმშილი განიცადა ხალხმა. ეხლა კი მიხვდნენ ჰკუას და მოლად დაიმუშავეს მინდორ-ველები. წლეულს საზოგადოდ კარგი მოსავალი იყო პურისა, მაგრამ სიმინდმა ულალატა, საშინელი გვალვის გამო. პური მაინც არ იაფდება. კოდი (სამი ფუთია) 25 თუმნიდან 30 თუმნამდის ფასობს, ისიც ძნელი საშოვარია.

ამ ბოლო დროს აქეთ ყაჩაღობამ იჩინა თავი. მძარცველები არამც თუ გზაზე ხვდებიან მგზავრებს და ართმევენ რასაც კი უპოვიან, არამედ სახლებშიაც უცვივდებიან და აწიოკებენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. თავხედობა მაინც იქამდის მიდის, რომ დღისით—მზისითაც კი ეცემიან სოფელში ვისი გაძარცვაც უნდათ. ამ ერთი კვირის წინათ ს. ახატანში მოჰკლეს ერთი ყაჩაღი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა მცხოვრებლებს.

აქეთ მხარეს ფრიად ესაჭიროება ექიმი და საავადმყოფო. მთელი მხარე, რომელიც 23 სოფლიდგან შესდგება, დატოვებულია უექიმოდ. თუმცა ს. ჰოპორტში ფერშალია, მაგრამ ის ვერ აუხდება ამოდენა ხალხის საჭიროებას. საჭიროა რაიონის შუაგულში,ს. წინამძღვრიანთკარში, დაწესდეს ექიმი და საავადმყოფო. ხალხი ამის ხარჯების გაწევას თვით იკისრებს.

ვანილი.

## გამოსადეგი ცნობები

## სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

### კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თელავიდან | დილის | 8 | ს. | 28 წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | 14 „ |
| თბილისში | „ საღამოს | 5 | „ | — |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 | „ | 58 „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 | „ | 24 „ |
| თელავში | „ საღამოს | 5 | „ | — |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 | „ | 42 „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | — „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 | „ | 15 „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 | „ | 20 „ |

## განცხადებები


## ქართული შრიფტი.

რუსულ ასოებიან საბეჭდავ მანქანებს ვახალისებ ქართული შრიფტით. მაგალითისთვის ყოველ დროს შეიძლება გადაკეთებული მანქანის გასინჯვა. ს. გერმანი, სახლის ქ. № 2.

691. 10—5.


## აუქციონი

ტფილისის კერძო პირველ ლომბარდისა შესდგება 1918 წ. 22 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ., № 8, საკ. სახ.). გაიყიდება ვადა გასული გირაოები: ძვირფასი ქვები, ლითონის და სხვა ნივთები შემდეგი №№ 49070, 57594, 58282, 59411, 59931, 60148, 60149, 64766, 65306, 66042, 66043, 66479, 66589, 67871, 69149, 69930, 69931, 70658, 70658, 70928, 70951, 71187, 71480, 71540, 72302, 72315, 72328, 72357, 72375, 72375, 72383, 72472, 72476, 72495, 72548, 72550, 72552, 72582, 72656, 72702, 72768, 72865, 72903, 72929, 72981, 72991, 72993, 73008, 73067, 73078, 73158, 73179, 73182, 73193, 73249, 73261, 73271, 73300, 73311, 73314, 73318, 73331, 73367, 73400, 73427, 73434, 73468, 73477, 73492, 72382.

## მე-2 ქართულ მსროლელთა პოლკში

საჭიროა იარაღის ხელოსანი. პირობების გაგება შეიძლება მისამართით: ქ. ლანჩხუთი, შტაბი მე-2 ქართული პოლკისა. 715 3-1

კავკასიის უწმინდესისა და უმართებულესის სინოდის კანტორა ამით აცხადებს, რომ იქ 16 სექტემბერს მიღებულია თხოვნა ტრიფონ ნიკოლოზის ძე კობიზსკისა მის ცოლთან, მარიამ პანაგიოტ სიმეონიდის ასულ კობიზსკისთან განქორწინების შესახებ.

სინოდის კანტორის ამა წლის 3 სექტემბრის მე-572 №-რის დადგენილებით კობიზსკაია მოწვეულია სინოდის კანტორის საკრებულოში. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად არის მარიამ კობიზსკაია, ვალდებულია განუცხადოს სინოდის კანტორას ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 706 3-2

კავკასიის უწმიდესის და უმართებულესის სინოდის კანტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წლის 18 აგვისტოს მიღებული აქვს თხოვნა კონსტანტინე იოსების ძე მოძალევსკის მის ცოლთან ნინო ივანეს ასულ მოძალევსკისთან განქორწინების შესახებ.

სინოდის კანტორის 1918 წ. 30 აგვისტოს მე-566 №-რის დადგენილებით ნინო მოძალევსკისა მოწვეულია სინოდის კანტორის საკრებულოში. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად არის მოძალევსკისა, ვალდებულია განუცხადოს სინოდის კანტორას ერთის თვის განმავლობაში განცხადების დაბეჭდვიდან. 710 3-2

დავკარგე ტფილისის 1 კერძო ლომბარდის ბილეთი № 74232, 50 მან. და ქალაქის ლომბარდის ბილეთ № 106284, 20 მან. კონსტანტინე ტერენტიევი. 712 3-2

პოლოს ტერ-სიმონიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა კავკასიის ლაშქრის საველე ფოსტის ტელეგრაფის განყოფილებიდან 1918 წ. 23 იანვარს მიღებული დათხოვნის ბილეთი. 3-1

ხონის მომრიგებელ უბნის გამგე სამ. კან. წესდ. 1233 და 1241 მუხ. ძალით 6 თვის ვადაში იწვევს ლევან გიორგის ძე ბახტაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბახტაძის ქონებაზე. 3-2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. 31 აგვისტოს მის მიერ დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც პავლე გიორგის ძე პოლტავცევმა 85.000 მან. მიჰყიდა ჩესლავ ალექსანდრეს ძე სვეხოვსკის მიწის ნაჭერი შენობებით ქ. გაგრაში, ზომით 353 $^{43}/_{100}$ ოთხკ. საჟ. სიგელი შედგენილია გაგრის ნოტარიუს ლებედინსკისთან. 3-2

ანნა ივანეს ასული გომალეი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის სახელმწიფო ბანკიდან მიღებული მოწმობა № 1433 და ხელწერილი № 4163, რომ მას ხაზინაში ენახება 1000 მან. 5 პროც. მოკლე ვადიან ობლიგაციებით. 3—3

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. 6 აგვისტოს მის მიერ დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ავეტის ტერ-მკირტიჩიანმა მიჰყიდა აივაზ ოგანესოვს ქ. გუდაუთში მამული, რომელიც შეადგენს სამ ნაჭერ მიწას №№ 2, 3, 6 ზომით 750 ოთხკ. საჟ. სიგელი შედგენილია სოხუმის ნატარიუს ზატვორნიცკისთან 1918 წ. 20 აგვ. № 18.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. 27 აგვ. დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც არისტიდ ფემისტოკლის-ძე ავგერინომ 5000 მან. მიჰყიდა სიმონ სტეფანას ძე კიგურაძეს მიწის ნაჭერი ქ. ფოთში მიხეილის და რიზინის ქუჩაზე, ზომით 367 ოთხკ. საჟ. მიღებულია სიმტკიცის გადასახადათ 200 მან. მთავარი ამონაწერი 25 მან. ღირებულობის ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. 17 აგვ. სიგელი შედგენილია 1918 წ. 27 იანვარს.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. 7 აგვისტოს მის მიერ დამტკიცებულია გირავნობის სიგელი, რომლითაც ვარლამ დიმიტრის ძე ლაკირბაიამ 4000 მან. დაუგირავა მამული ბორის ნიკიტის ძე ზოლოტარიოვს. მამული არის ქ. გუდაუთში, ქ. სოხუმის მაზრა, ზომით 250 ოთხკ. საჟ. ამ თანხის უზრუნველ საყოფად მამულს ადევს ყადაღა 1918 წ. ყადაღათა კრებულში აღნიშნული მე—15 №-ით.

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს: ბაგრატ ვართაზარის ძემ არუთინიანცმა განაცხადა, რომ მას დაუკარგავს უვადო პასპორტი, რომელიც მიღებული ჰქონია ტფილისის ყოფილ პოლიციის მართველობისაგან 1914 წ. 2 დეკემბერს მე—7539 №-ით. მისი მპოვნელი ვალდებულია წარადგინოს მილიციის სამმართველოში.
№ 719. 3—1.

ქ. ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ოლღა ანდრიას ასულის სტეფანოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სტეფანოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულს ვადაზედ. 708 3-2

ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ ყველას საყურადღებოდ ცხადდება, რომ დაკარგულია გირავნობის მოწმობა, რომელიც მიცემული აქვს ალექსანდრე ავეტის ძე ჯანშიევს 1903 წ. 20 მაისს რეესტრის № 1155-ით იმ მამულისა, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მესამე უბანში, მუხრანის და დიდი ვანქის ქუჩაზე, № 141, რათა წარადგინოს იგი ყოველ სახაზინო იჯარისა და სხვა ხელშეკრულებათა და აგრეთვე ფულის მისაღებ საწინდრად, და რომ ყადაღა, რომელიც აღნიშნულია ქ. ტფილისის ყადაღათა 1903 წ. კრებულის მე-430 №-რით გაუქმებულ იქნება იმ ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც ნაჩვენებია ნოტარიუსის დებ. მე-142 მუხ. და მატ. მე-11 მუხ., თუ ამისი წინააღმდეგობა არავინ განაცხადა. 405 3-1


## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია
## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

**ქსენიას ქ., № 11.**

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—სათხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, მიიღებიან ის პირნი, რომლისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომელთაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის მქონებსაც სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

50—15